ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2018 №180 (7725) ფასი: 60 თეთრი

საპატრიარქო საკონსტიტუციო სასამართლოს დახურვას ითხოვს

გვ.2

რევაზ არველაძე: „ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილების ახსნა მიჭირს“

„თუ ასე დავთმეთ ყველაფერი, 2020 წელს უბრალო უმრავლესობით მოსვლაც გაგვიჭირდება“

გვ.2

„ნაც-ქოცების გაერთიანებას მიშა და ბიძინა ერთად მართავენ“

კახა მიქაია: „დაამუხრუჭეთ ეს დემოკრატია, ნამეტანი გაუტია“

გვ.3

რუსეთმა ნატოს წინააღმდეგ ახალი დარტყმების ტალღა წამოიწყო

გვ.5

სამართალი გვ.7

თვითმკვლელობა თუ გატაცება — გრიგოლეთში გაუჩინარებულ 48 წლის ქალს ეძებენ

სროლა ლისის ტბაზე

ბიტკოინების დატა ცენტრში კრიმინალური პოლიცია შევიდა

ცენტრის მფლობელი გიორგი სოზაშვილი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა

ოზურგეთში მამამ შვილი დაჭრა

ეკონომიკა გვ.6

1-ლი აგვისტოდან ტაქსების რეგისტრაცია იწყება

გუბერნატორებმა ბიზნესკომპანიებში წილების ფლობა დამალეს

„იანდექს ტაქსის“ აპლიკაცია სახიფათოა?! — ლიეტუვის შემდეგ საქმეს საქართველოშიც სწავლობენ

ISSN 1987-9385

4 ვახტანგ მაისაია: „ვაფრთხილებ მთავრობას, თურქეთის სპეცსამსახურები შეიძლება ყველაფერზე წავიდნენ“

5 „გვყავს ბიზნესმენების ორი ჯგუფი — ერთი დაზარალებული და მეორე, ვინც დანაშაულებრივ სქემებში მონაწილეობდა“

3 „საქართველოში ექთნების კატასტროფული დეფიციტია“

5 უცხო ქვეყნის რამდენი მოქალაქე მუშაობს საქართველოში

რევაზ არველაძე: „ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილების ახსნა მიჭირს“

„თუ ასე დავთმეთ ყველაფერი, 2020 წელს უბრალო უმრავლესობით მოსვლაც გაგვიჭირდება“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების" წევრი, საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი რევაზ არველაძე, „ახალ თაობასთან" ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე საუბრობს.

– ბატონო რევაზ, საპრეზიდენტო არჩევნები 28 ოქტომბერს დაინიშნება. აქვე ცნობილი ხდება, რომ სალომე ზურაბიშვილმა საფრანგეთის საელჩოს მოქალაქეობის შესაჩერებლად მიმართა, რაც ერთ-ერთი გზავნილია. გამოდის, „ქართულ ოცნებას“ თავისი კანდიდატი არ ეყოლება. როგორია ამ საკითხზე თქვენი პოზიცია?

– ერთ-ერთი გზავნილი კი არა, მთავარი გზავნილია, თორემ სალომე ზურაბიშვილი აქამდე იტყოდა უარს საფრანგეთის მოქალაქეობაზე. ე.ი. რადგან ახლა ამბობს უარს, უნდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ეს მისი გადასაწყვეტია.

– მმართველ პარტიას, რომელიც ყველა დონეზე ფლობს ხელისუფლებასა და პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას, საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატი არ ეყოლება. ივანი შვილის განმარტებებს ეთანხმებით?

– ჩემი პოზიციაა, რომ მმართველ პარტიას თავისი კანდიდატი უნდა ჰყავდეს. მე მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატით უნდა მონაწილეობდეს. მსოფლიო პოლიტიკაში არ ვიცი არც ერთი მაგალითი, რომ მმართველი პარტია თავის კანდიდატს არ ასახელებდეს საპრეზიდენტო არჩევნებში.

– გუნდში როგორი განწყობებია, ბევრია ამ პოზიციაზე?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, ვის რა პოზიციები აქვს ამ საკითხზე, რადგან გუნდში ამ საკითხზე განხილვები არ ყოფილა. ამ საკითხს უფრო პარტიის პოლიტსაბჭო იხილავს. ამ კვირაში ალბათ უმრავლესობის ფორმატშიც იქნება განხილვა.

– დააფიქსირებთ თქვენს ამ პოზიციას?

– რასაკვირველია! რა თქმა უნდა, მე ჩემს აზრს ვიტყვი, მაგრამ, თუ გადაწყვეტილება იქნება მიღებული გუნდის მიერ, რომ არ გვყავდეს ჩვენი კანდიდატი ამ საპრეზიდენტო არჩევნებში და მხარდაჭერა დამოუკიდებელ კანდიდატს უნდა გამოვუცხადოთ, მაშინ მე, რასაკვირველია, ამ პოზიციის წინააღმდეგი არ ვიქნები.

– ბიძინა ივანიშვილის პოზიცია იყო, რომ დემოკრატიისთვის ასე აჯობებს, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით ხართ, რაც მთლად კარგად არ ჟღერს დასავლეთში. ამ არგუმენტაციაზე რას იტყვით?

– თუ ასე ნელ-ნელა დავთმეთ ყველაფერი, მაშინ აღარც საკონსტიტუციო უმრავლესობა გვეყოლება და შეიძლება საერთოდ აღარც ხელისუფლებაში ვიყოთ. ჩვენ ვიცით, რომ პრეზიდენტი 6 წლის ვადით უნდა იყოს არჩეული, პარლამენტში წარმოდგენილ უმრავლესობას კი მხოლოდ ორი წელი დარჩა. ამიტომ, ბევრად უკეთესი იქნებოდა, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი გასულიყო პრეზიდენტად იმიტომ, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს წინასაარჩევნო კამპანიაში პრეზიდენტის სიტყვას, მის პოზიციებსაც აქვს მნიშვნელობა და წონა.

– თუ ასე განვითარდა მოვლენები ან საერთოდ ოპოზიციამ წაიღო, როგორც ივანი შვილმა თქვა, პრეზიდენტის პოსტი, შეიძლება 2020 წლისთვის „ქართულმა ოცნებამ“ პოზიციები დათმოს?

– სწორედ ეს მოგახსენეთ წეღან. ასე ნელ-ნელა თუ ყველაფერი დავთმეთ, მაშინ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში შეიძლება უბრალო უმრავლესობით მოსვლა გაგვიჭირდეს.

– მაინც რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება პარტიის მესვეურებმა, უფრო კონკრეტულად კი ბიძინა ივანიშვილმა?

– ნამდვილად ვერ ამიხსნია ეს გადაწყვეტილება. მკითხაობას ვერ დავიწყებ. ერთი რაც ვიცი, მსოფლიოში ანალოგი არ მოიძებნება. მეტიც, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე ობამამ ყველაფერი გააკეთა, რომ კლინტონს გაემარჯვა და არა – ტრამპს.

ამიტომ, მართალია, კონსტიტუციის ახალი რედაქციით პრეზიდენტი ზეპარტიული უნდა იყოს, მაგრამ, თუ პარტია დააყენებდა კანდიდატს, ის პარტიულ გადაწყვეტილებებს კი არ მიიღებდა, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებდა, ცხადია, იმ ფარგლებში, რისი შესაძლებლობაც მას კონსტიტუციურად ექნებოდა.

– სალომე ზურაბიშვილი რამდენად იქნება დამოუკიდებელი კანდიდატი, თუ ის „ქართული ოცნების“ ინტერესების გამტარებელი იქნება?

– არა მგონია, რომ ის დამოუკიდებელი არ იყოს. ის იქნება დამოუკიდებელი. რამდენად გაუწევს ანგარიშს ამ მხარდაჭერას, რომელიც „ქართული ოცნებიდან“ ექნება, ვერ გეტყვით, მაგრამ, მე უფრო მგონია, რომ ის მაინც დამოუკიდებელი იქნება.

– რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

– ამას მისი ხასიათიდან, მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე ვამბობ.

– ადმინისტრაციული რესურსი, ფინანსური რესურსი, რომლებიც სახელისუფლებო პარტიას აქვს, გაჩერდება თუ ამოქმედდება მის დასახმარებლად?

– ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები არ უნდა იყოს გამოყენებული. შეიძლება აგიტაცია-პროპაგანდით დაეხმარო, მაგრამ ფინანსური დახმარება, არა მგონია, სწორი იყოს, ვინაიდან ის დამოუკიდებელი კანდიდატია. თუ ჩვენ დავეხმარებით, მაშინ გამოდის, რომ დამოუკიდებელი ვერ იქნება.

– ოპოზიციური სპექტრის კანდიდატებსა და სალომე ზურაბიშვილს შორის კონკურენტუნარიანი ბრძოლა იქნება თუ ფიქრობთ...

– მე დანამდვილებით ერთადერთი რამე შემიძლია გითხრათ, რომ თუ „ქართულ ოცნებას“ ეყოლებოდა კანდიდატი, ის აუცილებლად გაიმარჯვებდა.

– სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში ასე არ არის?

– სალომე ზურაბიშვილი არ არის „ქართული ოცნების“ კანდიდატი.

– გიორგი მარგველაშვილისგან განსხვავებული პრეზიდენტი იქნება ზურაბიშვილი, თუ ხალხმა აირჩია?

– არ ვიცი, სალომე ზურაბიშვილი როგორი პრეზიდენტი იქნება.

– პრეზიდენტის სასახლეში შეგა?

– მე რომ ვიყრიდე კენჭს და გავიმარჯვო, ნამდვილად არ შევიდოდი.

საპატრიარქო საკონსტიტუციო სასამართლოს დახურვას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის მიერ 30 ივლისს მიღებულმა გადაწყვეტილებამ ერსა და ბერს ახალი თავისტკივილი გაუჩინა. საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სასჯელი მარიხუანის მოხმარებაზე და ეს მუხლი არაკონსტიტუციურად ცნო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გადაწყვეტილებას დიდი ხმაური მოჰყვა. ყველაზე მეტად საპატრიარქოში განრისხდნენ. 30 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების გამო საპატრიარქომ საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებაც კი მოითხოვა.

მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით განცხადება მეუფე შიოს თანაშემწემ, მამა ანდრია ჯაღმაიძემ, გააკეთა.

ჯაღმაიძე ამბობს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს საპატრიარქო ამ რეკომენდაციითსაქართველოს ხელისუფლებას მიმართავს.

– რამდენადაც მე გავარკვიე, საკონსტიტუციო სასამართლო არ არის აუცილებელი ატრიბუტი დემოკრატიული სახელმწიფოსი და ჩვენ ვხედავთ, რომ ოთხი მოსამართლის ლოგიკაზეა დამოკიდებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება მომავალ თაობას, სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებს და მას დღეისთვის აქვს ისეთი უფლება, რომ შესაძლებლობა აქვს ოთხმილიონიანი ერის გადაწყვეტილება შეცვალოს ოთხმა ადამიანმა, – განაცხადა მამა ანდრია ჯაღმაიძემ.

საპატრიარქოს მსგავსი პოზიცია აქვს საპარლამენტო უმრავლესობის წევრ მირიან წიკლაურს.

პირველ არხთან საუბარში მირიან წიკლაური აღნიშნავს, რომ პარლამენტს საშუალება აქვს, კონსტიტუცია შეცვალოს, მათ შორის ის მუხლი, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოზეა საუბარი.

დეპუტატის განმარტებით, ძალიან ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლო საერთოდ არ არსებობს და ადამიანები წყნარად და ბედნიერად ცხოვრობენ.

– თავიდანვე მომხრე ვიყავი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არსებული სახით არ არსებობდეს. მისი უფლებები იცით? შეუძლია, ოთხი მილიონი ადამიანის ნების წინააღმდეგ წავიდეს და არჩევნების შედეგები ბათილად გამოაცხადოს, ანუ ვიღაცისგან დანიშნულ ოთხ ადამიანს უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე ოთხ მილიონ ადამიანს. ეს ნონსენსია და სწორი არ არის. არ შეიძლება, ოთხ ადამიანს ასეთი უფლებები ჰქონდეს.

მესმის, რომ შეიძლება ასეთი უფლებები ერთ პირს ჰქონდეს და ასეთი პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი იყოს, მაგრამ ოთხს, ვიღაცის მიერ დანიშნულ პირს არ უნდა ჰქონდეს. ეს გადაწყვეტილება ჩემი ერისთვის საზიანოა, თორემ პიროვნულად არ მეხება, რადგან ოჯახში მარიხუანის მომხმარებელი არავინ მყავს, – აცხადებს დეპუტატი.

უმრავლესობის წევრი 30 ივლისს მიღებული გადაწყვეტილების გამო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს აკრიტიკებს. ის საზოგადოებას ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ თავის დროზე საკონსტიტუციოს მოსამართლეებს ხმა მისცა.

წიკლაური, რომელიც პროფესიით ექიმია, მიიჩნევს, რომ მარიხუანის ლეგალიზებას კატასტროფული შედეგები მოჰყვება.

– მარიხუანის ლეგალიზების შემდეგ მოხმარება ყოველდღიური, ყოფითი ამბავი იქნება. ჩემი, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქის პოზიციაა, რომ ყოვლად უპასუხისმგებლო ადამიანებმა უსინდისო გადაწყვეტილება მიიღეს, რაც ქვეყნისა და ერის ღალატის ტოლფასია. გადაწყვეტილებამ რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს, ამის პროგნოზი შეიძლება. უახლოეს მომავალში შესაძლოა ეს კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდეს და შორეულ მომავალში მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს. ისეთი ორგანოსგან ასეთი გადაწყვეტილების მი?ღება არ უნდა ხდებოდეს, როგორიც საკონსტიტუციო სასამართლოა.

სარჩელი შეტანილი კონსტიტუციის მე-16 მუხლით იყო, რომელიც განმარტავს, რომ ადამიანს აქვს თავისუფალი განვითარების უფლება. ევა გოცირიძემ და მერაბ ტურავამ ამიხსნან, მარიხუანის მოხმარება ადამიანს როგორ ავითარებს?! მათი მსჯელობა ყოველგვარ ცინიზმს სცილდება. აქამდე მეგონა, რომ ადამიანს წიგნის კითხვა, სპორტი ავითარებდა და თურმე მარიხუანა ავითარებს. ამ ადამიანების ცინიზმი სადამდე უნდა მივიდეს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს?! ქართველი ხალხის წინაშე ბოდიშს ვიხდი, რომ ასეთი შეცდომა დავუშვი და მათ მხარი დავუჭირე. მომავალში ასეთი ადამიანების არჩევის პროცესს უფრო ყურადღებით მივუდგები და ადამიანების წარსულსა და აწმყოს მეტად ჩავეძი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაც-ქოცების გაერთიანებას მიშა და ბიძინა ერთად მართავენ“

კახა მიქაია: „დაამუხრუჭეთ ეს დემოკრატია, ნამეტანი გაუტია“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ მფარველობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ გუბერნატორს, ჰა სპექტაკლებს დგამს ივანიშვილი, ვინ მოიყვანა „ოცნებაში" ახალაიას ჯადრები, ჰატომ უნდა დავამუხრუჭოთ საქართველოში დემოკრატია? – ამ თემებზე „ახალ თაობას" „დაცვა საქართველოს" ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.

კახა მიქაია:

– ძალიან დათრგუნულ და უიმედო მდგომარეობაში ვიმყოფები. გიორგი კვირიკაშვილს ტაიმერი დავუყენე, მეგონა, კაი ხანს არ დარეკავდა, მაგრამ, ვაი საცოდაობავ, უცბად დარეკა.

კვირიკაშვილი ახლა ჩემ გარდა აღარავის ახსოვს. მარიხუანის ლეგალიზება მოხდა და ყველა ამ თემაზე გადაერთო. ახლა ყველანი „გირჩისკენ“ იშვერენ ხელს. არადა, „გირჩი“ არაფერ შუაშია. მარიხუანის ლეგალიზება თავად ხელისუფლების ინიციატივაა. „გირჩმა“ მხოლოდ გაახმოვანა ხელისუფლების სურვილი.

– მარიხუანის ლეგალიზება დაემთხვა მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს. თქვენი აზრით, ეს შემთხვევითი დამთხვევაა?

– ბუნებაში შემთხვევით არაფერი ხდება. მარიხუანის ლეგალიზება პირდაპირ კავშირშია საპრეზიდენტო არჩევნებთან.

– „ოცნებაში“ სჯერათ, რომ მარიხუანის ხათრით მათ მიერ მოწონებულ კანდიდატს დაუჭერენ მხარს?

– „ოცნებას“ საერთოდ არ აინტერესებს საპრეზიდენტო არჩევნები. თავის ბოლო ინტერვიუში ივანიშვილმა პირდაპირ გვითხრა, რომ დემოკრატიულობის ფასადის შექმნას აპირებს. ამ მხრივ ის სააკაშვილის პირდაპირი მემკვიდრეა.

როდესაც პრეზიდენტი იყო, სააკაშვილი ქმნიდა ქვეყანაში დემოკრატიის ფასადს და შემდეგ თავის თავს დემოკრატიის შუქურას უწოდებდა.

– ივანიშვილს დემოკრატიის ჩირაღდნობა მოუნდა?

– რატომაც არა. მას თავიდანვე ჰქონდა ამაზე პრეტენზია. მოვიდა თუ არა პოლიტიკაში, განაცხადა, ისეთი დემოკრატია უნდა შევქმნათ საქართველოში, რომ ევროპა გავაოცოთო. ჰოდა, აოცებს ახლა ევროპას.

– რით აოცებს?

– როგორ თუ რით? ცხადია, „გასაოცარი დემოკრატიით“. ევროპას ეუბნება, იმდენად დემოკრატიული ვარ, რომ რადგან საკონსტიტუციო უმრავლესობა მაქვს, ყველა ქალაქის და მუნიციპალიტეტის მერი ჩემია, პრეზიდენტზე უარს ვამბობ. სწორედ ესაა დაპირებული გასაოცარი დემოკრატია.

– მერედა, ვინ ჭამს ამ გასაოცარ დემოკრატიას? ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ იყო ცნობილი, რომ „ოცნება“ სალომე ზურაბიშვილს დაუჭერდა მხარს, რომელიც რატომღაც დამოუკიდებელ კანდიდატად ითვლება.

– ამაზე ასე გიპასუხებთ – ივანიშვილმა გასაოცარი დემოკრატია შემოგვთავაზა და ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, მივირთმევთ თუ არა ამ პროდუქტს. და მოდით, ყველაფერს იმ კაცს ნუ დავაბრალებთ. ის აკეთებს თავის საქმეს და, თუ არ მოგვწონს, ნუ შევჭამთ.

– მოდით, „გირჩსა“ და ბიძინას შევეშვათ და სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ გუბერნატორს მივხედოთ. ლევან შონიაზე უამრავი სკანდალური მასალა ვრცელდებოდა, მაგრამ თანამდებობიდან ვერ უშვებდნენ. წინა კვირას გაუშვეს და როგორ შეელივნენ?

– ყველაფერს გასდის ყავლი. ყველაფერი სრულდება და შონიაც დასრულდა. შონიას მმართველობამ ისე ააყროლა სამეგრელო, რომ ამ სუნმა თბილისიც კი შეაწუხა. მისი ატანა უკვე გახდა აუტანელი. ხელისუფლება იძულებული გახდა, ის სახლში გაეშვა.

– მის სახელს ბევრი სკანდალი უკავშირდებოდა. ერთ-ერთი უმთავრესი იყო კონტრაბანდა აფხაზეთიდან. შონიას წასვლის შემდეგ შეიცვლება ამ მიმართულებით რამე?

– შონიას კისერზე ბევრი ცოდვა აწევს, მაგრამ ყველაფერს მას ნუ დავაბრალებთ, რადგან ის ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე არ მოქმედებდა.

თავის დროზე ასე აბრალებდნენ ყველაფერს მეგიზ ქარდავას, თითქოს ყველა დანაშაულს ის თავისი ნებით ჩადიოდა და მიშამ არაფერი იცოდაო. ასევე იყო კომუნისტების დროსაც – ხალხს ბერია ხვრეტდა და სტალინმა არაფერი იცოდა. ეს დაუჯერებელია. არც ქარდავა მოქმედებდა მიშას გარეშე და არც შონია დგამდა ნაბიჯებს თბილისის გვერდის ავლით.

თბილისი თუ მოინდომებს რამის შეცვლას, სამეგრელოში ვითარება შეიცვლება. თუ არ მოინდომებენ, არ შეიცვლება და არ შეწყდება კონტრაბანდა.

ლევან შონიამ თავის ნამოქმედარზე აუცილებლად უნდა აგოს პასუხი. მაგრამ მის ქმედებებზე კვირიკაშვილმა და ქუმსიშვილმაც უნდა აიღონ პასუხისმგებლობა. თქვენი აზრით, ექსგუბერნატორი როლანდ ახალაიას კადრებს ცენტრალური ხელისუფლების გარეშე აწინაურებდა.? ახალაიას ეზოს მხვეტავი გოგია თბილისის ნებართვით დანიშნა ზუგდიდის მერად.

– ცენტრალურ ხელისუფლებას რა ინტერესი უნდა ჰქონოდა როლანდ ახალაიას კადრების მიმართ?

– რა ინტერესი ჰქონდა ხელისუფლებას, რომ ზურაბ ადეიშვილის შნირი ვანო ზარდიაშვილი პარლამენტში წამყვან თანამდებობაზე დანიშნა? რა ინტერესი ჰქონდა ხელისუფლებას, როცა მთავარი ჯალათი, ლევან მურუსიძე, სასამართლოში მთავარ ფიგურად წარადგინა? რა ინტერესი ჰქონდა ხელისუფლებას, რომ 2018 წელს გიგა ბოკერია გამოაცხადეს სამართლიანობის აღმდგენად?

აი, ხომ შემოგიბრუნეთ კითხვა და ახლა თქვენ მიპასუხეთ იმაზე, თუ რა ინტერესი ჰქონდა ხელისუფლებას.

– იქნებ ინტერესი არ ყოფილა და ისინი გასაოცარი დემოკრატიის პრინციპით მოქმედებდნენ.

– ეს გასაოცარი დემოკრატია შეახვიონ და ბალიშის ქვეშ ამოიგონ.

– რა შეფასებას მისცემთ „ოცნებისა“ და წინა ხელისუფლების ამგვარ სიამტკბილობას? ძველები ახლებს რამით აშანტაჟებენ თუ დაპირისპირებას თამაშობენ და ჩვენ გვეკაიფებიან?

– არც შანტაჟს გამოვრიცხავ, მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ აქ სიყვარულის ამბავი უნდა იყოს. ეტყობა, უყვართ ერთმანეთი, სიყვარული კი ძნელი და მწარეა.

– ვის და ვის უყვართ ასე მწარედ ერთმანეთი?

– ნაცებსა და ქოცებს უყვართ ერთმანეთი და ამ სიყვარულით დაბრმავებულები გვეკაიფებიან. მათ ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ. მიშას უყვარდა ეს გამოთქმა, ჩვენ ერთი გუნდი ვართო. ჰოდა, ქოცები და ნაცები არიან კიდევაც ერთი გუნდი.

– ნაცებში „ევროპულ საქართველოსაც“ გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა. ევროქოცები, ნაცები და ქოცები ერთი გუნდია.

– ერთი გუნდი კი არიან, მაგრამ ვისია ეს გუნდი, მიშასი თუ ბიძინასი?

– მიშასიც და ბიძინასიც. ეგენი არიან სიამის ტყუპები.

– ამბობთ, რომ ნაცები და „ევროპული საქართველო“ ერთია, მაშინ რატომ აგინებენ ერთმანეთს? ცოტა ხნის წინ მემორანდუმიც კი გააფორმეს თავდაუსხმელობაზე.

– და სად დაესხნენ ერთმანეთს თავს? ის განცხადებები, რომლებსაც ერთმანეთზე აკეთებენ, არაფერს ნიშნავს. საკენკი დაპირისპირებაზე დაუყარონ ვინმე სხვას. რომც იყოს მათ შორის დაპირისპირება, ამით რა შეიცვლება? ქვეყანა თავზე გვემხობა. აქედან გამომდინარე, არ არის საინტერესო, რას იტყვიან ევროქოცები ნაცებზე, ანდა, პირიქით – ნაცები ევროქოცებზე.

– მათი დაპირისპირება შეიძლება საინტერესო არ არის, მაგრამ ხალხის ყურადღება ამ თემაზე გადადის.



– მაგიტომაც გვიდგამენ დაპირისპირებაზე სპექტაკლებს, გვაყურებინებენ უაზრო კინკლაობას.

ამის ყურებისა და მოთმენის დრო ამოიწურა. ახლა საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს, გააგრძელებს ამათი სიაფანდობისა და აფერისტობის ყურებას თუ გადადგამს ნაბიჯს.

– რა ნაბიჯი უნდა გადადგას საზოგადოებამ?

– დღის წესრიგში ცვლილებების საკითხი უნდა დააყენოს. ცვლილებების გამტარებელი არც ნაცია და არც ქოცი. სხვა ძალაა მოსაძებნი.

– სხვა ძალა რომ არსად ჩანს?

– საქმეც ეგ არის, რომ სხვა ძალა არ ჩანს. ამაზე ბიძინამ და ნაცებმა ერთად იზრუნეს, ოპოზიცია პოლიტიკური ველიდან რომ გაეძევებინათ. ამ არჩევნებისთვის არაფერი შეიცვლება. მთავარი ცვლილებები 2020 წელს იქნება. ოპოზიცია და საზოგადოება ახლავე უნდა მოემზადონ საპარლამენტო არჩევნებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამათი აფერისტობისა და სიაფანდობის ატანა მოგვიწევს ისევ, რაც ქვეყნის დამხობით დასრულდება.

სიამის ტყუპებად ქცეული ნაცები და ქოცები ერთმანეთს არ დაუწყებენ რეალურ ბრძოლას. ივანიშვილი ისევ გამოვა ტელევიზიით და მოგვიყვება ზღაპრებს, როგორ ვითარდება ქართული ეკონომიკა.

– ბოლო გამოსვლაში მან აღიარა, რომ ეკონომიკა კარგად ვერ არის, განაცხადა, დემოკრატიამ გაასწრო ეკონომიკასო.

– საოცარი წინსვლაა ამ მიმართულებით, დემოკრატია სადღაც გაიჭრა და ვეღარ ვეწევით.

ვამბობდი ამას წინათ, დავამუხრუჭოთ დემოკრატია, ძალიან გაუტია-მეთქი, მარა, რად გინდა, ხომ ნახეთ, ივანიშვილმა თავისი გამოსვლა ბოლოს მაინც დემოკრატიით დაამთავრა!

გადაწყვეტილი ამბავია – „ქართული ოცნება“ საერთოდ არ დააყენებს საპრეზიდენტო კანდიდატს და ჰა, ოპოზიციავ, თქვენი იყოს პრეზიდენტიო...

არადა, გაიფხრიწა ეს ხალხი ნაკერავზე, ხელისუფლებას ეს პოსტი მაინც უნდა წავართვათო და სრული მობილიზაცია იყო გამოცხადებული...

ასეა, დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, მსხვერპლს მოითხოვს. ბიძომ არ მოინდომოს, თვარა, თავის მილიარდებს კაპიკ-კაპიკ ჩაგიხრჭიალებთ ჯიბეში, თქვე უმადურებო და თავად დარჩება გაღლეტილ დემოკრატად.

მერე რას იტყვით, სად წახვალთ და საერთოდ რეიზა იცხოვრებთ ამ დუნიაზე?!

„საქართველოში ექთნების კატასტროფული დეფიციტია“

საქართველოში ერთ წელიწადში ექიმების რაოდენობა – 810-ით, ექთნების კი მხოლოდ 414-ით გაიზარდა. ეს იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში ექთნების მწვავე დეფიციტია. ჯანდაცვის პოლიტიკის სპეციალისტის სერგო ჩიხლაძის თქმით, ქვეყანაში ერთ ექიმზე 0.7 ექთანი მოდის. მაშინ, როცა საშუალო ევროპული მაჩვენებელი 3-ზე მაღალია. შვეიცარიაში ექთნების რაოდენობა ექიმებთან მიმართებაში 4,3-ია; ფინეთში – 4,8; საფრანგეთი-გერმანიაში – 3,3; უკრაინაში -2,2.

– საქართველოში რეალობა ძალიან რთულია, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ექთნების კატასტროფული დეფიციტია, – განუცხადა „ბიზნეს-პრესნიუსს“ სერგო ჩიხლაძემ.

სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს საქართველოში დასაქმებული იყო 17.507 ექთანი, რაც მხოლოდ 414-ით მეტია წინა წელთან შედარებით. 2016 წელს ქვეყანაში სულ 17.093 ექთანი იყო დასაქმებული. რაც შეეხება ექიმებს, აქ საერთო მაჩვენებელიც მაღალია და ერთწლიან ინტერვალში ზრდაც დიდი. კერძოდ, 2017 წელს საქართველოში დასაქმებული იყო 27.362 ექიმი, 2016 წელს კი 26.552.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ექთნების კატასტროფული დეფიციტია. სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს წარმოადგენს ექთნების რაოდენობის შეფარდება ექიმების რაოდენობასთან. ერთ ექიმზე ერთი ექთანიც კი არ მოდის! და ეს მაჩვენებელი არა თუ იზრდება, არამედ 2000 წლიდან მოყოლებული მცირდება. ეს კი პირდაპირ აისახება ჯანდაცვის მომსახურების ხარისხზე.

ყველა მანიპულაციას ექიმი ვერ შეასრულებს, ამიტომაც არის ექთანი აუცილებელი, რაც ძალიან ცოტა გვყავს.

– ექთნობა დაუფასებელი პროფესიაა, ანაზღაურება ძალიან დაბალია და ამიტომაც ამ პროფესიის დაუფლების სურვილს ცოტა ადამიანი თუ გამოთქვამს. ამ დროს კი არც ხელისუფლებისა და არც კერძო სექტორის მხრიდან ქმედითი ნაბიჯები არ იდგმება. იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად ნორმალური ჯანდაცვა გვქონდეს, აუცილებელია ექთნების რაოდენობის ზრდა. ეს კი უნდა მოხდეს პროფესიის პოპულარიზაციით, პრესტიჟის ამაღლებით და მაღალი ანაზღაურებით. სხვა შემთხვევაში პრობლემა ვერ მოგვარდება. ამ მიმართულებით სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები სასწრაფოდ უნდა გადადგას, – განაცხადა ჩიხლაძემ.

ბპნ

ვახტანგ მაისაია: „ვაფრთხილებ მთავრობას, თურქეთის სპეცსამსახურები შეიძლება ყველაფერზე წავიდნენ“

გულიკო ბალაძე

ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, რუსეთის გავლენის მქონე რესპუბლიკებში არ გიშვებენ თურმე ნატოსთან კავშირის ბრალდებით. სააკაშვილის რეჟიმმაც ხომ ნატოს ჯაშუშობის ბრალდებით გაგასამართლათ. დამთხვევაა თუ რამე ბმა არსებობს ამ ორ ფაქტს შორის?

– რუსეთი თავისი გავლენის ქვეყნებში არ მიშვებს ნატოსთან ჩემი კავშირების გამო. სააკაშვილის დროს ნატოს ჯაშუშობა მქონდა ინკიმინებული, ანუ ნატოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას მედავებოდნენ. ეს ფაქტია. ზოგიერთმა ნაცისტმა ისიც თქვა, ყალბი დოკუმენტიაო. ვისაც ეჭვი ეპარება, შეუძლია, ნანუაშვილს მიმართოს, აბსოლუტურად ნამდვილი დოკუმენტია. თუმცა, ნაცისტებისაგან არაფერი მიკვირს. მათგან არაერთი ტყუილი მოგვისმენია. მათ შორის, მიხეილ სააკაშვილის ტყუილები. ბევრ ვინმეს აბრალებდნენ ჯაშუშობას და სასამართლომ გაამართლა, მათ შორის, ფოტორეპორტიორებს, რომლებიც სასამართლომ გაამართლა.

– ისე, რუსეთის ახლანდელი ბრალდება, რისთვისაც არ შეგიშვეს რუსეთის პარტნიორ სომხეთში, ძალიან ჰგავს სააკაშვილის უშიშროების ბრალდებებს.

– ჩემი და ფოტორეპორტიორების საქმეების გაყალბებაზე ერთი და იგივე ჯგუფი მუშაობდა, ერთი და იგივე მოსამართლეები იხილავდნენ და კონტრდაზვერვის თანამშრომლები მონაწილეობდნენ გაყალბებაში. ჩემ მიმართ სასამართლომ კონსტიტუციაც კი დაარღვია, საქმეს გრიფით საიდუმლო დაადეს, რომ ეს სისულელე არ გამომჟღავნებულიყო. ჩვენი საქმეების გამყალბებლების ჯგუფი ორჯონიკიძე, დათაშვილი, თოფურია და სხვები დღემდე სუსში მუშაობენ.

– „პატრიოტთა ალიანსის“ წამოწყებას მხარს უჭერთ, რომელიც ნაცრეჟიმის გასამართლებას მოითხოვს?

– რა თქმა უნდა. დაგვიანებულია, მაგრამ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. პარლამენტმა ნაცრეჟიმს ნაწილობრივ უკვე მისცა პოლიტიკური შეფასება მაშინ, როცა 190 ადამიანი პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გამოუშვა, მაგრამ ახლა საჭიროა სრული შეფასება.

– ბატონო ვახტანგ, საქართველოში, ვაზიანში ტარდება მრავალეროვნული სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2018“. რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ წვრთნებს ზოგად პოლიტიკაზე? სწავლებაში 13 ქვეყნის 3 ათასამდე სამხედრო მონაწილეობს, შემოვიდა ამერიკის, გერმანიისა სამხედრო ტექნიკა, ტანკები. მოგეხსენებათ, გორში გაჩერდნენ, რომელსაც 2008 წელს რუსეთი ბომბავდა.

– ნატოს გააჩნია სერიოზული დაინტერესება კავკასიის სამხრეთ რეგიონში. მეორეც აღნიშნულ წვრთნებში მონაწილეობენ პარტნიორი სახელმწიფოები, მათ შორის, სომხეთი და სხვა პარტნიორები.

– გერმანია ცდილობს, რუსეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში გერმანია ტრამპის კრიტიკამ გამოაფხიზლა თუ თავს ვერ არიდებს ერთობლივ ღონისძიებებს, ამ წვრთნებში რომ მონაწილეობს?

– ეს არის ნატოს ეგიდით განხორციელებული წვრთნა. გერმანია ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში. წვრთნა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამით ტარდება. ნატო პლუს პარტნიორები. მათი საბოლოო მიზანია საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემების განვითარება და ხელშეწყობა.

ახლა საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების ხელშეწყობა ხდება. ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნებია, რომელსაც საერთაშორისო ოპერაციებისთვის ხელშეწყობის მიზანიც აქვს.

– ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს ასეთ წვრთნებში მონაწილეობას?

– ჩვენც გვაქვს გარკვეული წილი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში. ჩვენ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის მთავარი აქტორები ვხდებით. ასეთი წვრთნები ხელს უწყობს ჩვენი შეიარაღებული ძალების თავსებადობას ნატოს შეიარაღებულ ძალებთან. ასევე ჩვენ მივიღებთ ისეთ გამოცდილებას, რომელიც ჩვენს შეიარაღებულ ძალებს წაადგება. ჩვენ ვხდებით გარკვეული დონის სამხედრო მოთამაშე.

– საქართველო სამხედრო მოთამაშე რეალურად არის?

– სამხედრო მოთამაშე ვართ. ჩვენი რეგიონი ძალიან მაღალი დონის კონფლიქტებით გამოირჩევა. არსებობს სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება, ჩვენი ტერიტორიები რუსეთის ფედერაციის მიერ არის მიტაცებული, ჩვენს რეგიონში სამხედრო კონფლიქტების წყაროები ბევრია. ახლახან აზერბაიჯანის უშიშროებამ დაადანაშაულა ირანის სპეცსამსახურები ისლამაბადში არეულობის შეტანის კუთხით. სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი ქვეყანა აზერბაიჯანი და ირანი შევიდნენ კონფრონტაციაში.

ირანის წინააღმდეგ უკვე იწყება სანქციების ამოქმედება. ამერიკული პრესის მონაცემებით, აშშ აპირებს ირანს სამხედრო დარტყმა მიაყენოს, რომელიც ჩვენს რეგიონზე ჰპოვებს ასახვას. აპირებენ ჩრდილოეთ მხარეს, კავკასიის რეგიონთან არსებული ობიექტების დაბომბვას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენი რეგიონი გეოსტრატეგიულად გეოპოლიტიკურად მოწყვლადია. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივად, ამ რეგიონში მოთამაშეებიდან საქართველოს შეიარაღებული ძალები ყველაზე სუსტი რგოლია.

– მგონი, ამერიკას ირანმა უპასუხა, თუკი ამერიკა ირანზე სამხედრო დარტყმას განახორციელებს, მერე ნახავს, როგორი ომი დაიწყება. რა შედეგს მოიტანს ამერიკის სამხედრო დარტყმა ირანზე?

– ამან შეიძლება გამოიწვიოს რეგიონული ომის სინდრომი. შეიძლება ირანს რუსეთი დაუდგეს გვერდით. ირანი და რუსეთი სამხედრო მოკავშირეები არიან. მათ საერთო ინტერესები გააჩნიათ აღმოსავლეთში, საერთო ინტერესები გააჩნიათ კავკასიის რეგიონში.

ამასთან რუსეთმა კასპიის ზღვაში თავისი ძალის დემონსტრირება დაიწყო, სადაც საქართველოში ნატოს წვრთნების საპირწონედ სამხედრო წვრთნებს ატარებს (ამას ყურადღებას არავინ აქცევს). რუსებმა დაიწყეს სამხედრო სტრატეგიული ავიაციის გამოყენება. მათ განახორციელეს საზღვაო დაჯგუფების განადგურების იმიტაცია თანამედროვე სარაკეტო დარტყმების მეშვეობით. გამოყენებულ იქნა თანამედროვე ბალისტიკური ფრთოსანი რაკეტა მიკ-31.

– ანუ რუსეთი რაღაცისთვის ემზადება?

– რუსეთმა ახალი შეიარაღება გამოცადა. ეს პირველად მოხდა. კასპიის ზღვაზე განახორციელეს იმიტაცია იმის საჩვენებლად, რომ მათ შეუძლიათ გაანადგურონ საზღვაო დაჯგუფება. სწავლება გათვლილია იმაზე, თუ შავ ზღვაზე შემოვა ამერიკის ან ნატოს საზღვაო დაჯგუფება, შეუძლიათ გაანადგურონ. ამის მინიშნება იყო.

– ამერიკა-ირანის ომის შემთხვევაში თურქეთი ირანს მხარს დაუჭერს?

– ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის გავითვალისწინებთ, რომ ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა. თქვეს, რომ თურქეთი შეიძლება გახდეს ამერიკის მტერი. თურქეთის პრესაში ამაზე სერიოზული საუბრებია.

არ გამოვრიცხავ, თურქეთის სპეცსამსახურებმა მუშაობა ჩვენთანაც გააააქტიურონ, საქართველოდან თავიანთი მოქალაქის გატაცების ორგანიზება მოახდინონ. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ.

– რატომ უნდა გაიტაცონ?

– მონღოლეთიდან თურქეთის სპეცსამსახურებმა გაიტაცეს თურქი მოქალაქე, რომელსაც ბრალად ედებოდა გიულენის ორგანიზაციის წევრობა. დიდი აჟიოტაჟი რომ არა, გატაცებულ ადამიანს თურქეთში გადააფრენდნენ და შეიძლება სიკვდილით დაესაჯათ. თურქეთის სპეცსამსახურებმა თურქი მოქალაქეები გაიტაცეს ასევე აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, კოსოვოდან. კოსოვოში თურქი მოქალაქის გატაცებას დიდი სკანდალი მოჰყვა, სპეცსამსახურების ხელმძღვანელები დაითხოვეს.

ამიტომ მსგავსი საფრთხე ჩვენთანაც არის, რაც არ უნდა დავუშვათ, რადგან სერიოზულ სკანდალს გამოიწვევს. ჩვენ ჯერ კიდევ შავი ლაქა გვაქვს მუხთარლის გატაცების გამო. მუხთარლი გაიტაცეს საქართველოს კრიმინალური პოლიციის ფორმაში გამოწყობილებმა. თუ კიდევ მოხდება მსგავსი რამ და თურქეთის სპეცსამსახურებმა გაიტაცეს, აქ მყოფი ე.წ. გიულენისტები, რაც აბსოლუტური ტყუილია (ემრე ჩაბუქის ფაქტიც სახეზე გვაქვს), ეს იქნება ჩვენი დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის კრახი. ასეთი რეალური საფრთხე არსებობს. ამიტომ ჩვენმა მთავრობამ და სპეცსამსახურებმა მიიღონ ზომები, რომ არ დაუშვან თურქეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოში მყოფი თურქეთის მოქალაქეების გატაცება, რადგან შეიძლება ისინი სიკვდილითაც კი დასაჯონ. ვაფრთხილებ მთავრობას, მიიღონ ზომები, რომ არ მიიღონ ცუდი შედეგები. თურქეთის სპეცსამსახურები შეიძლება ყველაფერზე წავიდნენ.

– ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან ხდება მოქალაქეები მიგრაცია. ხშირად გვესმის, რომ ირანელები ნარკოტიკების რეალიზაციაში არიან ჩართული. თუ გავითვალისწინებთ აზერბაიჯანის ბრალდებებს ირანის სპეცსამსახურებისადმი, რა საშიშროება ექმნება ამ კუთხით საქართველოს?

– ამ კუთხით საშიშროება არსებობს. სამწუხაროდ, ნარკოტრასების საკითხი საკმაოდ სერიოზულია. ჩვენ ვიცით, რომ ნარკოტიკები გადიოდა ირანიდან. 2014 წელს ჭიკაიძემ რომ თქვა, თალიბანი კაციაო, მაშინ აღმოაჩინეს ნარკოტიკების დიდი პარტია, რომელიც თალიბანის ტვირთი იყო. ნარკოტრასები დღესაც არსებობს, რაც მკაცრადაა გასაკონტროლებელი. არალეგალური მიგრაციაც გასაკონტროლებელია.

არ დაგავიწყდეთ, ირანი საერთაშორისო ტერორიზმშია ბრალდებული დასავლეთის სახელმწიფოების მიერ და მიგრაციის საკითხები სპეციალურ მუშაობას ექვემდებარება. ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ ირანიდან ჩამოსულ ინვესტიციებსა და ტურისტებს, მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ გარდა ბირთვული უსაფრთხოების ხელშეკრულებისა, ირანისთვის არავის მოუხსნია ტერორიზმის სპონსორი ქვეყნის სტატუსი, ასევე გასათვალისწინებელია აზერბაიჯანში არსებული ვითარება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ და როგორ შემოდის. ეს ძალიან სენსიტიური თემაა.

საპატრიარქო საკონსტიტუციო სასამართლოს დახურვას ითხოვს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ები. ჩემი ბრალია და ერის წინაშე ბოდიშს ვიხდი, რომ ასეთი პიროვნებები ავირჩიე, – აცხადებს წიკლაური.

მირიან წიკლაური ვარაუდობს, რომ მარიხუანის ლეგალიზების უკან შესაძლოა ნარკობიზნესი იდგეს.

– ოფიციალური დამადასტურებელი საბუთი არ მაქვს, მაგრამ მოვლენათა განვითარების ლოგიკა მკარნახობს, რომ ამის უკან შეიძლება სერიოზული ნარკობიზნესი იდგეს, – ამბობს დეპუტატი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ისტორიულ დანაშაულს უწოდებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი. ის ამბობს, რომ

მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის საკონსტიტუციო სასამართლოს გააუქმებს.

ამის მიუხედავად, ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ მარიხუანის მოწევის გამო ადამიანი ციხეში არ უნდა წავიდეს.

– მარიხუანის მოწევაზე ადამიანის ციხეში დაჭერა რომ არ შეიძლება, ამაზე საზოგადოების ძირითადი ნაწილი შევთანხმდით, მაგრამ 30 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ ჩაიდინა ისტორიული დანაშაული და ნარკოტიკის ეს სახეობა გამოაცხადა სრულიად ლეგალიზებულად, მოაქცია ის სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივ პროცესში, რითაც ივანიშვილების ოჯახი გადაიქცა რეგიონში უდიდესი ნარკომილიარდების მფლობელად.

ჩემი გაპრეზიდენტებისთანავე ნარკოვაჭრობაზე დაწესდება სამუდამო პატიმრობა, აიკრძალება ნარკოტიკების პროპაგანდა და დამნაშავე საკონსტიტუციო სასამართლო იქნება დაშლილი, გაუქმებული და ის შეუერთდება საერთო იურისდიქციის სასამართლოებს, როგორც ეს ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებშია.

საშინელი განსაცდელის წინაშე დავდექით. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აქ იცხოვრებს არაბიც, თურქიც, ირანელიც და ყველა ხალხი, ქართველების გარდა. და ამის ავტორი და შემოქმედი იქნება ეს კორუმპირებული ხელისუფლება და რეჟიმი, რომელმაც თვითონ ვერ გაბედა გაეკეთებინა ნარკოტიკების ასეთი დანაშაულებრივი ლეგალიზაცია და გააკეთებინა მორჩილ საკონსტიტუციო სასამართლოს მონამოსამართლეებს, – ამბობს ნათელაშვილი.

მარიხუანის ლეგალიზების მხარდამჭერ ჩინოსნებთან მთავარ ლეიბორისტს შემდეგი კითხვები აქვს:

– მინდა ვკითხო ივანიშვილის ოჯახს, პარლამენტის წევრებს, მთავრობის მინისტრებს, თუ დაუწვებით თქვენ ნარკოტიკებით გაბრუებულ ქირურგს ოპერაციისათვის, თუ დაუჯდებით მარიხუანით დაბოლებულ მძღოლს, პილოტს, მემანქანესა და კაპიტანს მოგზაურობაში? თუ ენდობით ნარკოტიკული თრობის სტადიაში პროკურორის, მოსამართლის, პოლიციელის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს?

თუ გაუშვებთ შვილებს ნარკომან ლექტორთან, მასწავლებელთან და აღმზრდელთან ცოდნის მისაღებად?

შალვა ნათელაშვილი ვარაუდობს, რომ მომავალში უფრო მძიმე ნარკოტიკების ლეგალიზება მოხდება.

– აი, რა ტრაგედიამდე მიგვიყვანეს და დატოვეს ყოველგვარი სამართლებრივი რეგულირების გარეშე ნარკოტიკი, რომლიდანაც იწყება უფრო მძიმე ნარკოტიკების მიღება, მოგეხსენებათ, მარიხუანა პირველი, მოსამზადებელი ჯგუფია უფრო სერიოზულ ნარკოტიკებზე გადასასვლელად. და ეს ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ბერა ივანიშვილის რეპი გამოქვეყნდა (საუბარია ბერას ტრეკზე ლეგალიზაცია), სადაც ის სიმღერით მოუწოდებდა ნარკოტიკების ლეგალიზაციისკენ, – აღნიშნა პირველმა ლეიბორისტმა.

უკმაყოფილოა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძეც. მისი განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებით პარლამენტს საკანონმდებლო ბერკეტები გამოაცალა.

– მიუხედავად იმისა, ვინ რას ბრძანებს, რეალურად, ფორმალურად, მარიხუანა რჩება აკრძალული. საუბარია იმაზე, რომ ჩვენ გუშინდელმა გადაწყვეტილებამ გამოგვაცალა ბერკეტი კანონის აღსრულებისთვის.

სასამართლოს, ჯობდა, ემსჯელა სხვა ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაზე მარიხუანის გარდა და არა მარიხუანის ასეთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც საკანონმდებლო ბერკეტებს გვართმევს, რომ ვარეგულიროთ ამ ნარკოტიკის მოხმარება ქვეყნაში. ის, რომ მარიხუანა ნარკოტიკია, ყველას ავიწყდება, – ამბობს დეპუტატი.

ზოიძის თქმით, უმჯობესია, პარლამენტმა ამ გადაწყვეტილებას შეზღუდვებით უპასუხოს.

– მაქსიმალური შეზღუდვები და აკრძალვები გამოვიყენოთ მარიხუანასთან მიმართებაში. მომხრე ვიქნები, რომ ეს გავრცელდეს 21 წლამდე, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია, – აცხადებს ზოიძე.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია კი ამბობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით მის აბსოლუტურ დაშვებას არ ნიშნავს.

დეპუტატმა მედიასთან იმ საგამონაკლისო შემთხვევებზე ისაუბრა, რომელიც ითვალისწინებს მესამე პირების დაცვას.

– საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკმაოდ რთული და კომპლექსურია. ჩვენ ვართ ამ გადაწყვეტილების ანალიზის პროცესში. პირადად ჩემი აზრია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილებით თქვა, რომ ადმინისტრაციული ჯარიმა, როგორც წესი, მარიხუანის მომხმარებლის შემთხვევაში არ არის პროპორციული, თუმცა აქვე დატოვა შესაძლებლობა, რომ არსებობდეს საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც კანონმდებელმა შეიძლება აკრძალვა დაადგინოს. საკონსტიტუციო სასამართლოს ლოგიკა მიდის იქითკენ, რომ ეს არის არა აბსოლუტური დაშვება, არამედ კანონმდებელმა რეგულაციები დაადგინოს, რომ მომხმარებელი შეიძლება არ დასაჯოს და გარკვეული დისკრეცია მისცეს საგამოძიებო ორგანოებს.

მარიხუანის მოხმარება არასრულწლოვანთა თანდასწრებით ან მოხმარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა თუ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, ასევე მოხმარება ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა სამართალდამცავი თუ სამხედრო სტრუქტურები, ვერ ვიტყვით, რომ აქ მარიხუანის მოხმარება არის ჩვეულებრივი ამბავი. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლომ დატოვა შესაძლებლობა, რომ კანონმდებელმა ამ ტიპის განსაკუთრებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დატოვოს. ახლა უკვე უნდა ვიმუშაოთ, რომ ასეთი შემთხვევები იყოს რეგულირებული, – ამბობს ეკა ბესელია.

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთმა ნატოს წინააღმდეგ ახალი დარტყმების ტალღა წამოიწყო

კრემლი მჭიდრო კავშირს ამყარებს ულტრამემარჯვენე ძალებთან სხვადასხვა ქვეყანაში

საქართველოს ნატოში განევრიანებას ბოლო დროს დასავლეთში აღრინდელზე მეტი მომხრე ჰყავს. თავისი მუქარა უკან არ ნაულია რუსეთს, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკის აღიანსში შესვლას არ დაუშვებს და ამის საპასუხოდ ზომებს მიიღებს.

ამერიკელი ანალიტიკოსების ინფორმაციით, რუსეთმა დასავლეთს უფრო ძლიერად შეუტია. დაიწყო ახალი დარტყმების ტალღა ნატოს წინააღმდეგ.

მათი თქმით, საქართველოსთან ომის შემდეგ, როცა აშშ-მ არ მოსთხოვა პასუხი რუსეთს საქართველოში შეჭრაზე, კრემლი ნაკლებად გამომწვევ მეთოდებზე გადავიდა. უხმაუროდ მოახდინა ყირიმის ანექსია და შევიდა აღმოსავლეთ უკრაინაში.

დღეს რუსეთი, ექსპერტების დაკვირვებით, უფრო თავხედურად იქცევა და რისკებს არ ერიდება. ამასთან, მოქმედებს ისე, რომ პირდაპირ არ შეეჯახოს ნატოს და ამერიკის ძალებს. რუსეთი ნატოში განხეთქილების შეტანას გეგმავს. ამისათვის ის იყენებს ნატოს ყველაზე ახალგაზრდა და სუსტი წევრის – მონტენეგროს ტერიტორიას. მოსკოვი აპირებს მასზე თავდასხმას. ანალიტიკოსები მთავარ საფრთხეს იმაში ხედავენ, რომ ამერიკის პრეზიდენტი ამის შემდეგ უარს იტყვის ნატოს წესდების მეხუთე მუხლის შესრულებაზე. პატარა ბალკანურ სახელმწიფოს, სავარაუდოდ, ვერც ევროპა გამოექომაგება, რაც გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს ნატოს.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ პუტინი ბედავს ნატოს წევრ სხვა ქვეყანაში – სლოვაკეთში სამხედრო ბანაკის შექმნას. ამისთვის გამოყენებულია ბაიკერების კლუბი, ე. წ. ღამის მგლები. ბაიკერები ევროპაში მოგზაურობის საბაბით შევიდნენ და სლოვაკეთში მიტოვებული სამხედრო ბანაკის ადგილზე ახალი სამხედრო ბანაკი გაშალეს. ისინი იქ მუდმივი ქვედანაყოფის ამოქმედებას აპირებენ. სლოვაკეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯერ ამ პროცესებზე არ რეაგირებს.

რუსეთის როლის ზრდა აწუხებთ ფრანგ ექსპერტებს. მათი შეფასებით, ჰელსინკის სამიტი ახალი იალტის კონფერენცია გამოდგა, რომელმაც მინიმუმამდე დაიყვანა ევროპის როლი პოლიტიკაში. საფრანგეთის პრეზიდენტი, რომელსაც არ გააჩნია დე გოლისა და შირაკის ქარიზმა და ავტორიტეტი, ვერაფერს აკეთებს. იგი კუთხეშია მიმწყვდეული და იძულებულია, ახლიდან ეძებოს კონტაქტები რუსეთთან. ამგვარი სიტუაცია მსოფლიოში ქაოსამდე მიგვიყვანს.

ამერიკელი მიმომხილველების თქმით, ტრამპი აშშ-ში პუტინის ერთადერთი მოკავშირე არ არის. კრემლის მეთაური გარიგებულია რესპუბლიკური პარტიის ჯგუფებთან და ამერიკის კონსერვატიულ მოძრაობებთან. მათი შეთქმულება ანგრევს ამერიკის პოლიტიკურ სისტემას. საბჭოთა კავშირის დროს მოსკოვი კომუნისტური ინტერნაციონალის სადავეებთან იდგა, პუტინი კი ახალ რეაქციულ ინტერნაციონალს ჩაუდგა სათავეში.

პუტინის ინტერნაციონალი ნაციონალიზმის გარშემო შეიქმნა. ის უპირისპირდება ლიბერალურ დემოკრატიას. ამ მიზნით პუტინმა მჭიდრო კავშირი დაამყარა ამერიკის ევანგელისტური ეკლესიების ხელმძღვანელებთანაც. კრემლი კონტაქტებს ულტრამემარჯვენე, ხანდახან კი ულტრამემარცხენე ძალებთან აგებს სხვა ქვეყნებშიც. იგი მათი დახმარებით გააააქტიურებს ანტინატოურ და ანტიდასავლურ პროპაგანდას. უფრო მეტ აქტივობას გამოიჩენენ იმ რეგიონებში, სადაც რუსეთი გავლენას არ თმობს.

„გვყავს ბიზნესმენების ორი ჯგუფი – ერთი დაზარალებული და მეორე, ვინც დანაშაულებრივ სქემებში მონაწილეობდა“

„კომერსანტის“ სატელევიზიო გადაცემაში „შენობით ბიზნესთან სანდრო ვეფხვაძესთან ერთად“ თეცჰნობოომ-ის დამფუძნებელმა ანზორ ქოქოლაძემ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ბიზნესის განვითარებასა და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან ერთად ორი ბანკის ოლიგოპოლიაზე ისაუბრა.

– ბანკები ქვეყნის განვითარებისთვის რამდენად დამაბრკოლებელია?

– ბანკი ის ძირითადი ფუნდამენტია, რისგანაც ეკონომიკა შენდება. დღეს ჩვენ ქვეყანაში ოლიგოპოლიური მდგომარეობა მივიღეთ, როდესაც ორი ბანკი საბანკო სექტორის 80%-ს აკონტროლებს. ორი ბანკის ხელში ხვდება აქტივები და მანიპულირების გზით საზოგადოება ზარალდება. ბანკის განვითარება საზოგადოების გაღარიბების პირდაპირპროპორციულია. ეს მაშინ, როდესაც, პირიქით, ბანკები ეკონომიკის განვითარებას უნდა უწყობდნენ ხელს. მივესალმები ნებისმიერი ქართული ბანკის წინსვლას საფონდო ბირჟებზე, მაგრამ დღეს ჩვენი ორი ბანკის განვითარების ხარჯზე საზოგადოების გაღარიბება ხდება.

– ქვეყანაში ბოლო პერიოდში სამართლიანობის აღდგენის პროცესი რამდენად კარგად მიმდინარეობს და დღეს შეგვიძლია თუ არა, მას აქილევსის ქუსლი ვუწოდოთ?

– შესაძლოა ვუწოდოთ აქილევსის ქუსლი. ეს გაჭიანურებული პროცესია. სამართლიანობის აღდგენა და სამართლიანობის დამკვიდრება ერთი და იგივე პროცესია. დღეს გვყავს ბიზნესმენების ორი ჯგუფი, ერთი დაზარალებული და მეორე, ვინც დანაშაულებრივ სქემებში მონაწილეობდა. ბიზნესმენების ის ნაწილი, ვინც უფლებები ვერ აღიდგინა, ფიქრობს, რომ დღეს ქვეყანაში სამართლიანობა შესაბამის საფეხურზე არ დგას. სწორედ ამიტომ მათი მოტივაცია ბიზნესაქტივობებში დაბალია და ეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას აფერხებს, ხოლო ის, ვინც დანაშაულებრივ სქემებში მონაწილეობდა, ახლა ფრთხილობს და აქტივობებს აჩერებს. ტენდენცია დინამიური უნდა გახდეს და სახელმწიფომ ამისთვის ყველაფერი უნდა გააკეთოს. ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის ერთადერთი გზა ბიზნესაქტივობების გაზრდა და ეკონომიკის გაჯანსაღებაა. ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

– წარმოიდგინეთ, ხართ გემის კაპიტანი. მამუკა ხაზარაძის გარდა, ვის დატოვებდით ბორტს მიღმა?

– ადამიანური ფაქტორიდან გამომდინარე, წყალში გადაგდებით არავის გადავაგდებდი, მათ შორის, არც მამუკა ხაზარაძეს. თუმცა შევარჩევდი, გემზე ვის ავიყვანდი. ჩვენ ვიბრძვით იმ კომპანიის დასაბრუნებლად, რომელიც მას არ ეკუთვნის.

– პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის პათოსი, სამართლიანი თამაშის წესები ყველასთვის, როგორ გესმით?

– როდესაც ახალმა პრემიერ-მინისტრმა განცხადებები ფინანსთა მინისტრობის პერიოდში გააკეთა, ძალიან ოპტიმისტურად იყო ჩამოყალიბებული, მაგალითად, საბანკო სექტორთან გადასახადებთან და მცირე მეწარმის სტატუსთან დაკავშირებით. ასევე მცირე მთავრობის იდეა, პირველი ნაბიჯები და მესიჯები მისასალმებელია. მისი ხედვა ქვეყნის განვითარებისა სწორია.

დღეს ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ ბაზარზე ცვლილებები მოხდა, თუმცა ეკონომიკაში მოლოდინებს დიდი გავლენა აქვს. დღეს ბიზნესში პოზიტიური მოლოდინებია, თუმცა ამას შესაბამისი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს.

– ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომ იყოთ, კომერციულ ბანკებს რა ტიპის რეგულაციებს დაუწესებდით?

– რთული წარმოსადგენია, თუმცა, პირველ რიგში, კომერციულ ბანკებსა და არაპროფილურ აქტივებს მაქსიმალურად გავმიჯნავდი, ასევე საბანკო სექტორის გამსხვილებას არ დავუშვებდი. ქვეყანაში რომ ოლიგოპოლიური მდგომარეობაა, ეს ეროვნული ბანკის დამსახურებაა, რადგან საქართველოსა და თი ბი სი ბანკს სხვა ბანკების შეძენის საშუალება მისცეს. ბოლო წლებში ლარის გაუფასურების საკითხი მწვავედ დგას და მრავალი მიზეზი სახელდებოდა, სინამდვილეში ეს ორი ბანკი მანიპულირებდა. რყევების დროს ზარალდება, როგორც ბიზნესი, ისე რიგითი მოქალაქე, ხოლო ბანკი მოგებას ნახულობს.

– რაც შეეხება მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემის საკითხს, გაქვთ ამ სისტემის მიმართ ნდობა?

– მე ერთ-ერთი ის ადამიანი ვარ, რომელსაც სასამართლო სისტემის მიმართ დაბალი ნდობა აქვს. მაშინ, როდესაც საკითხი ბიზნესდავებს ეხება, ხშირ შემთხვევაში მოსამართლეების არაკვალიფიცურ გადაწყვეტილებას იღებენ. საქმე დიდი რაოდენობითაა და ცოტა მოსამართლეა.

– დღეს ქვეყანას ანაკლიის პორტი სჭირდება?

– საქართველოს, როგორც სატრანზიტო დერეფნის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა რამდენად ჯანსაღად ხდება ეს პროცესი სხვა საკითხია. უკვე არსებული ბათუმისა და ფოთის პორტების რესურსი სრულად ათვისებული არ არის.

კომერსანტი

უცხო ქვეყნის რამდენი მოქალაქე მუშაობს საქართველოში

საქართველოში შრომითი მიგრანტების რაოდენობა რამდენიმე ათასს აღწევს. შემოსავლების სამსახურის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში უცხო ქვეყნის 16.967 მოქალაქე მუშაობდა. რაც შეეხება 2017 წელს, შემოსავლების სამსახურის სტატისტიკის მიხედვით შარშან ქვეყანაში 22 718 უცხოელი მუშაობდა. (ინფორმაცია მომზადებულია „საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული თანხებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ“ ინფორმაციის შესაბამისად – შემოსავლების სამსახური).

როგორც ცნობილია, 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან საქართველომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი გაამკაცრა, იმ პერიოდიდან ძალაში შევიდა მთავრობის №520 დადგენილება, რომელიც უცხოელებისთვის ბინადრობის გაცემას არეგულირებს. სწორედ იმ დროიდან გახდა შესაძლებელი რეალობასთან უფრო მოახლოებული სტატისტიკური მონაცემების მიღება საქართველოში დასაქმებულ უცხოელებზე.

2017 წელს კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საწარმოებში სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენი უცხოელი მუშაობდა ამა თუ იმ საწარმოში და რა პოზიციებზე. (კვლევა 2017 წლის სამ კვარტალს მოიცავს). ამ ანგარიშის მიხედვით, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით უცხო ქვეყნის მოქალაქე დასაქმებულთა საერთო რაოდენობა გაიზარდა 17%-ით და სულ 17.330 კაცი შეადგინა (მთლიანი დასაქმების 2.2%); უცხო ქვეყნის მოქალაქის დასაქმების ძირითად მიზეზად დასახელდა საწარმოს უცხოელი დამფუძნებელი/მენეჯმენტი (65,8%) და ის, რომ საწარმო წარმოადგენს უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალს (17,3%);

ამავე კვლევის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადად დასაქმებულებია მშენებლობაში, საბითუმო და საცალო ვაჭრობასა და ტურიზმის დარგებში; უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადად დასაქმებულები არიან მიკრო (46,9%) ზომის საწარმოებში, ხოლო მსხვილსა (24,2%) და მცირეში (20,9%) თითქმის პროპორციულად არის გადანაწილებული; საქართველოში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების უმეტესობა (79,3%) თბილისზე მოდის.

უფრო კონკრეტულად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადად დასაქმებულები არიან ისეთ ეკონომიკურ სექტორებში, როგორიცაა: მშენებლობა – 5,560 დასაქმებული (უცხო ქვეყნის მოქალაქეების მთლიანი დასაქმების 31.6%), საბითუმო და საცალო ვაჭრობა – 4,757 დასაქმებული (27%), ტრანსპორტირება და დასაწყობება – 13,866 დასაქმებული (7.9%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები – 1,260 დასაქმებული (7.2%) და ტურიზმი – 1,231 დასაქმებული (7%). მეტ-ნაკლებად თანაბარი რაოდენობის უცხო ქვეყნის მოქალაქეა დასაქმებული პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებისა (848/4.8% დასაქმებული) და დამამუშავებელი მრეწველობის (728/4.1% დასაქმებული) დარგებში. საკმაოდ მოკრძალებული წილი მოდის ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობებსა – 466 დასაქმებული (2.7%), ხელოვნება, გართობა და დასვენებასა – 350 დასაქმებული (2%) და სოფლის სატყეო და თევზის მეურნეობის – 189 დასაქმებული (1.1%) ეკონომიკურ სექტორებში, – აღნიშნულია კვლევაში.

გუბერნატორებმა ბიზნესკომპანიებში წილების ფლობა დამალეს

სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორებისა და მათი მოადგილეების ნაწილმა 2017-2018 წლებში ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციები არასრულად შეავსო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ თანამდებობის პირთა 30-ზე მეტი ქონებრივი დეკლარაცია შეისწავლა.

შედეგად დეკლარაციების არასრულად შევსების 8 ფაქტი, ხოლო თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის 1 შემთხვევა გამოვლინდა.

აღსანიშნავია, რომ კვლევაზე მუშაობის პერიოდში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თანამდებობიდან ხუთი გუბერნატორი გაათავისუფლა, მათ შორის ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია წინამდებარე კვლევაში არის წარმოდგენილი.

გრიგოლ ნემსაძე – ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი (2017 წლის მაისი – 2018 წლის ივლისი)

გრიგოლ ნემსაძემ 2018 წლის ივლისში შევსებულ დეკლარაციაში არ მიუთითა, რომ იგი ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში: • შპს „ ბლუ ველვეტ +“– 50% წილი • შპს „ ზაგი ლენდი“– 50% წილი გრიგოლ ნემსაძეს ასევე არ აქვს აღნიშნული, რომ მისი მეუღლე ნელი შენგელია არის შპს „ ანგორა 2016– ის“ 100%– იანი წილის მფლობელი. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ნემსაძე ასევე ფლობს 50%– იან წილს შპს „ალგანში“, მას ეს ინფორმაცია დეკლარაციაში აღნიშნული აქვს. თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში შპს „ ალგანმა“ ორ ტენდერში გაიმარჯვა, რომელთა კონტაქტების საერთო ღირებულებამ 405 165 ლარი შეადგინა. 2017 წლის დეკემბერში შპს „ ალგანი“ „საპარტნიორო ფონდის“ ტენდერის გამარჯვებული გახდა (კონტაქტის ღირებულება – 345 861.7 ლარი), მანამდე, 2017 წლის ნოემბერში, კომპანიამ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა (კონტრაქტის ღირებულება – 59.304 ლარი). გრიგოლ ნემსაძის გუბერნატორობის პერიოდში შპს „ალგანისაგან“ გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით მომსახურება არცერთ საჯარო უწყებას არ შეუსყიდია. ზაურ დარგალი ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე (2017 წლის მაისიდან დღემდე) ზაურ დარგალს 2017 წლის ივლისში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ მისი მეუღლე რენა ნურმამედოვა ფლობს საკარმიდამო მიწის ნაკვეთს (625 კვ.მ.) მარნეულში.

ირაკლი შიოშვილი – კახეთის გუბერნატორის მოადგილე (2016 წლის ნოემბრიდან დღემდე).

ირაკლი შიოშვილს 2018 წლის იანვარში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ შპს „თელავის დამოუკიდებელი პროფესიული მომზადების ცენტრის“ 100%– იანი წილის მფლობელია. მას ასევე არ აქვს დეკლარირებული, რომ მისი მეუღლე რუსუდან ღამბაშიძე შპს „წინანდალი – 1886-ის“ 100%-იანი წილის მფლობელია.

ლევან ზაუტაშვილი – მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი (2017 წლის ივლისი – 2018 წლის ივლისი).

ლევან ზაუტაშვილმა დეკლარაცია ბოლოს 2017 წლის აგვისტოში შეავსო. დოკუმენტში მას აღნიშნული აქვს, რომ შპს „კასტელ ჯორჯიას“ დირექტორი იყო, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად იგი „კასტელ ჯორჯიაში“ დირექტორის პოზიციას დღემდე ინარჩუნებს, რითაც დაარღვია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონი, რომლის თანახმადაც, თანამდებობის პირს არ აქვს უფლება იყოს სამეწარმეო დაწესებულების ხელმძღვანელი. ლევან ზაუტაშვილი ასევე არის შპს „არტ მედია ინტერნეიშენელის“ მეწილე და დირექტორი, თუმცა მას ეს ინფორმაცია არ აქვს დეკლარირებული. ბესიკ თალაკვაძე მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე (2017 წლის ოქტომბრიდან დღემდე). ბესიკ თალაკვაძეს 2017 წლის დეკემბერში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ 2005 წელს რეგისტრირებული შპს „ივერია ტრანს იმპექსის“ (ს/კ – 202250045) მეწილეა.

ლევან ქვათაძე – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე (2015 წლიდან დღემდე);

ლევან ქვათაძემ 2018 წლის აპრილში შევსებულ დეკლარაციაში არ მიუთითა, რომ იგი ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში: • შპს „ პერეირა“ – 50%-იანი წილი • შპს „ნობათი 2012“ – 20%-იანი წილი • შპს SNM GROUP – 50%-იანი წილი მას ასევე არ აქვს დეკლარირებული, რომ მისი მამა, მამუკა ქვათაძე არის შპს „ პერეირას“ დირექტორი და ფლობს 50%-იან წილს შპს „ რაჭულ ღვინოში“, აგრეთვე შპს „არტ რეგალ ჯორჯიას“ 100%-იანი წილის მესაკუთრეა. ლევან ქვათაძემ დეკლარაციაში აგრეთვე არ მიუთითა, რომ მამუკა ქვათაძე ამბროლაურში, კოსტავას ქ. №33-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა. ასევე თანასაკუთრების უფლებით ფლობს ამბროლაურში, აღმაშენებლის №14-ში მდებარე მიწის ნაკვეთს და ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარედ 451 კვ. მ მიწის ნაკვეთს. გიორგი გონაძე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე (2017 წლის ივნისიდან დღემდე) გიორგი გონაძეს დეკლარაციაში, რომელიც მან 2018 წლის 16 იანვარს შეავსო, არ აქვს მითითებული, რომ იგი ფლობს წილს შპს-ში „რაჭული ღვინო – 97“ (ს/კ 211340752).

მერაბ ჭანუყვაძე – გურიის გუბერნატორი (2017 წლის აგვისტოდან დღემდე);

მერაბ ჭანუყვაძეს 2018 წლის მარტში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს აღნიშნული, რომ შპს „ევრო თრეიდის“ 100%-იანი წილის მფლობელია.

1-ლი აგვისტოდან ტაქსების რეგისტრაცია იწყება

პირველი აგვისტოდან ტაქსების რეგისტრაცია იწყება. ტაქსით მომსახურების ნებართვის მიღება შეუძლია ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს მართვის მოწმობა და სურს ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრთა გადაყვანა ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც, მძღოლის სავარძლის გარდა, არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილი აქვს. თბილისის მერია შესაბამის ინსტრუქციას ავრცელებს.

ინსტრუქციის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადასაყვანად ერთწლიანი ნებართვის მისაღებად მძღოლი იხდის 100 ლარს, ხოლო ჰიბრიდული ავტომობილების შემთხვევაში – 50 ლარს. ელექტროძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანა ნებართვის გაცემის საფასურისგან სრულიად თავისუფალია.

თბილისის მერიის განცხადებით, ნებართვის მისაღებად აუცილებელია ელექტრონული განცხადების შევსება ვებგვერდზე www.taxi.tbilisi.gov.ge.

ვებგვერდზე მოცემულია მარტივი სარეგისტრაციო ფორმა, რომელსაც ავსებს ნებართვის მაძიებელი;

სარეგისტრაციო ფორმის შევსების შემდეგ, მაძიებელი ავტორიზდება მომხმარებლის სახელის და პაროლის გამოყენებით;

ავტორიზაციის შემდეგ ნებართვის მაძიებელი მომხმარებლის პირადი მუნიციპალური სივრცის მართვასთან დაკავშირებით ელექტრონულად აწერს ხელს წესებსა და პირობებს ID ბარათის გამოყენებით, ერთჯერადად;

ელექტრონული ხელმოწერის განხორციელების შემდეგ გააქტიურდება მომხმარებლის პირადი მუნიციპალური სივრცე;

ნებართვის მაძიებელი ავტომობილის დამატების ინსტრუმენტით მიუთითებს პირად ან ორგანიზაციის კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერს, რის შედეგადაც სასურველი ავტოსატრანსპორტო საშუალება დაემატება მის პირად მუნიციპალურ სივრცეში.

დამატებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ნებართვის მოთხოვნის ინსტრუმენტით ნებართვის მაძიებელი ქმნის ელექტრონულ განაცხადს ელექტრონულად აწერს ხელს ID ბარათის გამოყენებით;

ნებართვის მაძიებელს ნებართვის მიღება, ასევე, შეუძლია, მესამე პირის, მათ შორის იურიდიული პირის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე. ამ შემთხვევაში, ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე პირი, სპეციალური კოდის გენერირების და გაზიარების ინსტრუმენტით ქმნის უნიკალურ ტაქსის კოდს, რომელსაც გადასცემს ნებართვის მაძიებელს;

ნებართვის მაძიებელი, რომელსაც უკვე გავლილი აქვს ავტორიზაცია, დამატების ინსტრუმენტით უთითებს მფლობელის მიერ გადაცემულ უნიკალურ ტაქსის კოდს და ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერს, რის შემდეგაც ავტომობილი აისახება მის პირად სივრცეში და ქმნის ელექტრონულ განაცხადს ნებართვის მოთხოვნით;

ნებართვის მოთხოვნის შემდეგ მაძიებელი სისტემაში შექმნილი ინვოისის საფუძველზე ნებართვის გაცემის საფასურს იხდის ვებგვერდის ონლაინ გადახდის სისტემის ან ფინანსური დაწესებულების გამოყენებით;

თუ სატრანსპორტო საშუალებაზე ნებართვა უკვე გაცემულია, პირს, რომელსაც სურვილი აქვს ამ სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოს მგზავრთა გადაყვანა, ვებგვერდზე რეგისტრაციის შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის თანხმობით, შეუძლია მგზავრთა გადაყვანა განახორციელოს უკვე გაცემული ნებართვის მოქმედების ვადით ნებართვის გაცემის საფასურის გადახდის გარეშე.

ნებართვა გაიცემა მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საფასურის გადახდისთანავე;

თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილითტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა გაიცემა ერთჯერადად ერთი წლის ვადით.

ნებართვის მფლობელი, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში, ვალდებულია:

ელექტრონულად მიღებული ნებართვა ამობეჭდოს ა5 ფორმატის ქაღალდზე და განათავსოს სატრანსპორტო საშუალებაში თვალსაჩინო ადგილას ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი წაკითხვა და გადამოწმება მგზავრის და მაკონტროლებლის მიერ;

უზრუნველყოს მომსახურების გაწევა მხოლოდ ნებართვაზე მითითებული მსუბუქი ავტომობილით;

მომსახურების გაწევისას სატრანსპორტო საშუალების სახურავის შუა ადგილას დაამაგროს ტაქსის აღმნიშვნელი ყვითელი მანათობელი ნიშანი;

სატრანსპორტო საშუალებაში დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა;

არ გადაიყვანოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მგზავრთტევადობაზე მეტი მგზავრი;

არ დაუშვას მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხმა ტაქსის მარცხენა მხარეს განლაგებული კარიდან;

მგზავრთან შეთანხმების გარეშე არ გადაიყვანოს სხვა მგზავრი;

ტაქსის სალონში ან/და საბარგულში დარჩენილი ნივთები ჩააბაროს დაკარგული ნივთების ბიუროში ან შესაბამისი რაიონის პოლიციაში;

ხელი შეუწყოს კონტროლის განმახორციელებელ პირს მუშაობაში.

თბილისის მერიის განმარტებით, კონტროლის განმახორციელებელი უწყება უფლებამოსილია, წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს და შეუზღუდავად შეამოწმოს ტაქსის მძღოლი, სანებართვო პირობების დარღვევის შემთხვევაში კი მძღოლი დაჯარიმდება ან ნებართვა შეუჩერდება.

„იანდექს ტაქსის“ აპლიკაცია სახიფათოა?! — ლიეტუვის შემდეგ საქმეს საქართველოშიც სწავლობენ

„იანდექს ტაქსის“ აპლიკაციამ შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნას. პროგრამა მოქალაქეების მონაცემების ასლს აკეთებს და, არ არის გამორიცხული, ეს ინფორმაცია რუსეთის სამხედრო დაზვერვის ხელში აღმოჩნდეს. ამ პრობლემაზე ყურადღება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში – ლიეტუვაში გაამახვილეს. „იანდექს ტაქსის“ აპლიკაციის დეტალურ ანალიზს უკვე ახორციელებს ლიეტუვის კიბერუსაფრთხოების ეროვნული ცენტრი.

ბალტიისპირელები კონკრეტული ფაქტების დადგენამდე საკუთარ მოქალაქეებს ურჩევენ, არ ჩამოტვირთონ ეს პროგრამა. და რა ხდება საქართველოში?

– იმ პირობებში, როდესაც „იანდექს ტაქსი“ საქართველოში, კერძოდ კი თბილისში უკვე მეორე წელია ოპერირებს, „კომერსანტი“ დაინტერესდა, რა რისკების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა და ხომ არ გეგმავს აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანო საკითხით დაინტერესებას?

– თავად კომპანიას საქართველოში ოფიციალური წარმომადგენელი არ ჰყავს, შესაბამისად, მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. საკანონმდებლო ორგანოში აღნიშნულ თემაზე საუბარი არ სურთ. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, შინაგან საქმეთა სამინისტროს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოსთვის დღემდე არცერთ მოქალაქეს არ მიუმართავს აპლიკაცია „იანდექს ტაქსის“ მეშვეობით პერსონალური მონაცემების უკანონოდ ხელყოფასთან დაკავშირებით. თუმცა, საკითხს აქაც სწავლობენ. „რაც შეეხება ლიეტუვის კომპეტენტური ორგანოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, დასახელებული ინფო მუშავდება და საქართველოში ამ აპლიკაციის მეშვეობით განხორციელებული სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში აუცილებლად გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, – აცხადებენ შსს-ში.

რა ინფორმაცია შეიძლება მიიღონ „იანდექს ტაქსის“ აპლიკაციის საშუალებით თემით დაინტერესებულმა სპეცსამსახურებმა? მაგალითად, ლიეტუვის თავდაცვის უწყებაში განმარტავენ, რომ აპლიკაციის გამოყენებით მომხმარებელთა პირადი მონაცემების უკანონოდ მოპოვება და შეგროვება ხდება. მობილურ ტელეფონში ჩაწერისას „იანდექს ტაქსის“ აპლიკაცია კონფიდენციალურ ინფორმაციასთან წვდომას ითხოვს. ამასთან ერთად, პროგრამა ცდილობს, შეაღწიოს ტელეფონის კამერაში და ჰქონდეს წვდომა მიკროფონთან. აპლიკაციის საშუალებით შეგროვებული ინფორმაცია რუსეთში განთავსებულ სერვერებზე ხვდება. უფრო მეტიც, ლიეტუვას თავდაცვის სამინისტრო მოქალაქეებს რეკომენდაციითაც მიმართავს, თავი შეიკავონ აღნიშნული აპლიკაციის ტელეფონში ჩაწერისგან. განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფო მოხელეებსა და ძალოვან უწყებებში მომუშავე პირებს.

იურისტი აკაკი ჩარგეიშვილი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ „იანდექსს“ სერვერები რუსეთში აქვს. შესაბამისად, თბილისიდან მიღებული ინფორმაცია რუსეთში მიედინება.

ჩარგეიშვილი ამბობს, რომ რეალურად, ბიზნესს ოპერირებას ვერ აუკრძალავ. მისივე განმარტებით, მიუხედავად ამისა, რადგან მონაცემების შეგროვება ონლაინრეჟიმში ხდება, მარეგულირებელი კომისიების მხრიდან კარგი იქნებოდა, შემოღებულიყო ისეთი წესები, რომლებიც ასეთი ტიპის კომპანიებს საქართველოში დარეგისტრირებას დაავალდებულებდნენ.

„მკვლელი ქუჩაშია“ — საპროტესტო წარწერების გამო პოლიცია რადიო „მოზაიკის“ დირექტორის დაჯარიმებას ითხოვს

გორში გაკეთებული ამ წარწერის გამო პოლიცია რადიო „მოზაიკის“ დირექტორის დაჯარიმებას ითხოვს.

ზაზა სარალიძის მხარდასაჭერად გამართული აქციების პარალელურად, ივნისის დასაწყისში გორის ქუჩებში გამოჩნდა წარწერები „მოკლულია 2 მოსწავლე“, „მკვლელი ქუჩაშია“, „სამართალი სად არის?!“

წარწერების გამოჩენიდან დაახლოებით 2 თვის მერე, გორის სათემო რადიო „მოზაიკას“ დირექტორისთვის ცნობილი გახდა, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული იყო ადმინისტრაციული საქმის წარმოება – პოლიცია მას ქალაქის იერსახის დამახინჯებაში ადანაშაულებს და სსკ-ს 150 მუხლის მიხედვით მისი 500 ლარით დაჯარიმებას ითხოვს.

ოზურგეთში მამამ შვილი დაჭრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1954 წელს დაბადებული ა.ბ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შსს-ში აცხადებენ, რომ გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათში, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, შვილს – 1978 წელს დაბადებულ გ.ბ. ცივი იარაღით ორი ჭრილობა მიაყენა. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა ა.ბ. მომხდარიდან 1 საათში შემთხვევის ადგილზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

უწყების ცნობით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

ავარია ავტობანზე — დაშავებულია ერთი ადამიანი

ავარია მოხდა გუშინ გორთან, თბილისი-სენაკის ავტობანზე.

თვითმხილველთა განცხადებით, ერთმანეთს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მომავალი მსუბუქი და „გაზელის“ ტიპის ავტომანქანები შეეჯახნენ.

დაშავებულია მსუბუქი ავტომობილის მძღოლი.

სროლა ლისის ტბაზე

ბიტკოინების დატა ცენტრში კრიმინალური პოლიცია შევიდა

ცენტრის მფლობელი გიორგი სოზაშვილი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა

გუშინ, 31 ივლისს, ლისის ტბაზე მდებარე ბიტკოინების დატა ცენტრში კრიმინალური პოლიცია შევიდა.

სამართალდამცავებმა დატა ცენტრიდან ამოიღეს მთელი ტექნიკური მოწყობილობა და მოხდა სისტემების დემონტაჟი.

რუსთავი 2-ის ცნობით, კრიმინალური პოლიციის შესვლას წინ უძღოდა შეიარაღებული თავდასხმა. მისი მფლობელი გიორგი სოზაშვილი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. სროლის დროს ის სასერვეროში იმყოფებოდა.

ადგილიდან სამართალდამცავებმა წაიღეს დატა ცენტრი, რომელიც, მისი მფლობელის თქმით, დაახლოებით მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების არის.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე დაიწყო და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნივთმტკიცებად ამოიღეს მოქალაქე გ.ს.-ს მფლობელობაში არსებული ავტობუსი და მასში განთავსებული ე.წ. მაინერები, რომელთა საშუალებითაც, პირველადი ინფორმაციით, ელექტროენერგიის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ხდებოდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე საბურთალოს სამმართველოს დეტექტივების განყოფილებამ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს და 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველები კანონით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებას ატარებენ. სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, მიმდინარე წლის 31 ივლისს თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნივთმტკიცებად ამოიღეს მოქალაქე გ.ს.-ს მფლობელობაში არსებული ავტობუსი და მასში განთავსებული ე.წ. მაინერები, რომელთა საშუალებითაც, პირველადი ინფორმაციით, ელექტროენერგიის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება ხდებოდა“, – აცხადებენ შსს-ში.

❖ ❖ ❖

გუშინვე კომპანია სალვუს დეველოპმენტის დამფუძნებელმა გიორგი სოზაშვილმა განცხადება გააკეთა.

ის ფიქრობს, რომ პოლიციის შესვლა ბიზნესზე ზეწოლის მაგალითია. მისი თქმით, მას კონკრეტული პირები ამგვარი მეთოდებით უსწორდებიან.

– აღვწეროთ-მეთქი და არა, ზედაპირულად სურათი უნდა გადავუღოთო. ჯერ მოვიდნენ, დამცხრილეს. დაიჭირონ ის ხალხი, ვინც დამცხრილა. დაცვის თანამშრომლები წვანან დაჭრილები. ისინი დაიჭირონ, სპექტაკლის დადგმას, – ამბობს ბიზნესმენი გიორგი სოზაშვილი.

როგორც სოზაშვილი ამბობს, მას ნაფეტვრებში ორი კვირის წინ უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც მისი დაცვის თანამშრომელი დაიჭრნენ, თუმცა, გამოძიებას ამ დრომდე საქმე არ გაუხსნია და დაკავებული არავინაა.

სოზაშვილი ითხოვს, დააკავონ ყველა ის პირი, ვინც მასზე თავდასხმა დაგეგმა და მონაწილეობა მიიღო.

ამ მოთხოვნებით ბიზნესმენმა პარლამენტის წინ 21:00 საათზე აქცია დააანონსა.

– ნაფეტვრებში დაგვცხრილეს, ჩემი პირადი დაცვის თანამშრომელი დაჭრილია, ორი ტყვია მოგვხვდა, ამის ირგვლივ არაფერი არ არის ძვრა. არავინ დაკითხეს. ახლა მეუბნებიან, ერთი თვის მერე უკან გაგატანთ ტექნიკას, ნუ ნერვიულობო, მაგრამ ერთი თვე დაისჯებიო იმიტომ, რომ ვიღაცამ ვიღაცას პატივი უნდა სცეს. დღეს, 9 საათზე, ყველა მოვიდეს, ვიქნებით პარლამენტის წინ! – ამბობს სოზაშვილი.

ნაფეტვრებში მომხდარი სროლის შესახებ გუშინ შსს-მ განცხადება გაავრცელა.

მასში ნათქვამია, რომ შსს-ს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მიმდინარე წლის 5 ივლისს ნაფეტვრებში მომხდარ ყაჩაღობაში მონაწილე პირების ვინაობა ოპერატიულად დაადგინეს.

„1983 წელს დაბადებულ გ.გ.-ს, 1983 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს და 1986 წელს დაბადებულ ნ.ნ.-ს ბრალი წარედგინათ ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე“, – ნათქვამია განცხადებაში.

სამივე პირს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმდინარე წლის 27 ივლისის განჩინებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა და მათზე ძებნა გამოცხადდა.

ამ დროისთვის, სამართალდამცველები ბრალდებულების ადგილსამყოფლის დადგენისა და დაკავების მიზნით შესაბამის საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ.

„გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 5 ივლისს გ.გ.-მ, გ.ბ.-მ და ნ.ნ.-მ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით თბილისში, სოფელ ნაფეტვრებში, ტყის მასივში გაჩერებული ერთ-ერთი მოქალაქის – გ.ს.-ს კუთვნილი ავტობუსის დაყაჩაღება ცადეს, რა დროსაც მან თავდამსხმელებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია.

ორმხრივი სროლისას ერთ-ერთმა ბრალდებულმა დაჭრა გ.ს.-ს დაცვის თანამშრომელი ნ.ბ., რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. ამჟამად დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება,“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

გამოძიება სსსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების გულისხმობს. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

ლევან დადუნაშვილის მკვლელობისთვის მსჯავრდებულმა გ.ბ.-მ კომისიას პოლიციაში წაყვანის თაობაზე გამოძიების დაწყების თხოვნით მიმართა

ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ გ.ბ.-ს გამოკითხვის დასრულების შემდეგ მსჯავრდებულის ადვოკატმა ინგა შარაშენიძემ განაცხადა, რომ გ.ბ.-მ კომისიას მისი პოლიციაში წაყვანის თაობაზე გამოძიების დაწყების თხოვნით მიმართა:

– რაც სასამართლოში თქვა, ზუსტად ის გაიმეორა და ის ინფორმაცია მიაწოდა, რასაც ჩვენ ამ ხნის განმავლობაში ვეუბნებოდით სასამართლოს და კიდევ ახალი გარემოება მიაწოდა კომისიას. თავად ბრალდებულმა მოითხოვა, რომ დაიწყონ გამოძიება ერთ-ერთ დეტალზე. კერძოდ, ეს შეეხება მის წაყვანას პოლიციაში და კანონიერი წარმომადგენლის და ადვოკატის გარეშე ყოფნას. მასზე ზეწოლა განხორციელდა. დაახლოებით 3 საათის განმავლობაში ჰყავდათ მარტო დაკავების დღეს პოლიციაში და მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. ის არ ყოფილა ქალაქის მთავარ სამმართველოში, არამედ როგორც ბრალდებული აცხადებს, იყო ძველი თბილისის სამმართველოში. კომისიას სრულად აინტერესებდა რეალობა, რა მოხდა, როგორ მოხდა, ვინ მიიღო მკვლელობაში მონაწილეობა. კითხვები შეეხებოდა ყველა პირის ქმედებას, – განაცხადა ინგა შარაშენიძემ.

რატომ არ კითხავს პროკურატურასაქმეში ფიგურანტ სხვა მწყემსებს?

სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებული მწყემსის ადვოკატი, ალექსანდრე კობაიძე, აღნიშნავს, რომ საქმეში აშკარად იკვეთება პროკურატურის მხრიდან ან არაკვალიფიციური, ან შეგნებულად არასწორი მიდგომა.

ადვოკატის განცხადებით, საგამოძიებო ორგანოს არ დაუკითხავს ყველა პირი, ვინც ფიგურირებს.

– ეს საქმე ისეთი ვერსიით წასაყვანი არ არის, რასაც ბრალდების მხარე გვთავაზობს. კობაურს ბრალი ედება სმიტების ოჯახის დახოცვაში, თუმცა ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ცალსახაა, რომ სულ სხვა მიმართულება აქვს აღნიშნულ საქმეს. რატომ არ არიან გამოკითხულნი სხვა მწყემსები, რომლებიც კობაურის საქმეში ფიგურირებენ? რატომ არ არის გამოკვლეული ვინ გადაადგილდებოდა აღნიშნულ ტერიტორიაზე? რატომ მიაცემინეს კობაურს იძულების წესით ასეთი ჩვენება? რატომ სხვა ვერსიაზე არ მუშაობს ბრალდების მხარე? ფაქტია, რომ პროკურატურა არ ცდილობს, რომ ამ საქმეზე გამოძიება ყოველმხრივ და ობიექტურად აწარმოოს. თუ აღნიშნული ხარვეზები არ გამოსწორდა, აშკარა იქნება, რომ ბრალდების მხარე ამ საქმის შეთითხნასა და კობაურისთვის დაბრალებას ცდილობს. დაცვის მხარე ამას არ დაუშვებს.

პროკურორ მილენა მითაიშვილს ბინის მითვისების მცდელობაში ადანაშაულებენ

მოქალაქე მარო ბენდელიანი პროკურორ მილენა მითაიშვილს მისი საცხოვრებელი ბინის მითვისების მცდელობაში ადანაშაულებს. გუშინ ვითარებას ადგილზე პოლიციაც არკვევდა.

ბენდელიანი ამტკიცებს, რომ სახლი მან საკუთარი დისშვილის სახელზე შეიძინა და ეს საჯარო რეესტრშიც დაფიქსირებულია. მისივე თქმით, მითაიშვილი ბინაში თვეების განმავლობაში მდგმურად იმყოფებოდა.

– ეს არაფერს არ იხდის, პირიქით, ამ ჩვენს ბინაზე აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რომ გათეთრებული ფულით არის ნაყიდიო, მე რა ახლა მითაიშვილს უნდა ვაჩუქო ჩემი ამდენი წლის ნამუშევარი? – ამბობს ბინის მესაკუთრე მარო ბენდელიანი.

საწინააღმდეგოს აცხადებს პროკურორი. მისი თქმით, ბინა მისი ყოფილი ქმრის საკუთრება იყო და ის მას ნაქირავები არასდროს ჰქონია.

– არასდროს არავის უქირავებია. ეს ხდება იმის შემდეგ, რაც მე რივერა ბენდელიანის წინააღმდეგ მივეცი ჩვენება. ჩემი მეუღლის არის ეს ბინა, – ამბობს პროკურორი მილენა მითაიშვილი.

ტრამპი: „რუსეთის მიმართ სანქციები ძალაში დარჩება!“

ვაშინგტონში იტალიის პრემიერი კონტე ჩავიდა. ის დონალდ ტრამპმა მიიღო. საუბრის ძირითადი თემა იტალია-აშშ-ის ურთიერთობები, გლობალური კონფლიქტები და ტერორიზმთან ბრძოლა იყო.

თავდაპირველად ტრამპი და კონტე ოვალურ კაბინეტში განმარტოვდნენ. ერთი საათის განმავლობაში პირისპირ საუბრობდნენ. ამის შემდეგ მათ ექსპერტები შეუერთდნენ.

როგორც ცნობილია, იტალია რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებას მხარს არ უჭერს. პრესკონფერენციაზეც ტრამპს ჰკითხეს, ხომ არ განიხილებოდა რუსეთის მიმართ შემოღებული სანქციების გაუქმება. ტრამპმა ამაზე მიუგო:

– სანქციები ძალაში დარჩება!

იტალიის პრემიერმა კი შეკითხვას ფრიად ორჭოფული პასუხი გასცა. მან თქვა, რომ სანქციები დონბასში ომის გაჩაღებასთან დაკავშირებით შემოიღეს და მათი გაუქმება ერთ დღეში შეუძლებელია. ამავე დროს, კონტემ აუდიტორიას აგრძნობინა, რომ სანქციები უნდა გაუქმდეს:

– ისინი რუსეთის სამოქალაქო საზოგადოებას და ბიზნესს ზიანს არ უნდა აყენებდნენ! – აცხადებს იტალიის პრემიერი.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, მზად არის თუ არა ტრამპი, რომ ირანის პრეზიდენტს შეხვდეს, მან დადებითი პასუხი გასცა.

– მზადა ვარ, ირანთან პირდაპირი მოლაპარაკებები გავმართო, რათა ამ გზით ყველა სადავო საკითხი მოგვარდეს, – თქვა ტრამპმა.

ირანის პრეზიდენტმა როუჰანიმ განაცხადა, რომ ტრამპის გადაწყვეტილებას მიესალმება, თუმცა თავისი პირობებიც წამოაყენა.

– აშშ-მ ირანელი ერის უფლებებს პატივი უნდა სცეს, შეწყვიტოს მტრული პროპაგანდა და ობამას დროს დადებულ ბირთვულ შეთანხმებას დაუბრუნდეს, – თქვა როუჰანიმ.

ვაშინგტონში მანაფორტის სასამართლო პროცესი დაიწყო



ვაშინგტონის გარეუბანში ტრამპის საარჩევნო შტაბის ყოფილი უფროსის მანაფორტის სასამართლო პროცესი დაიწყო.

მას ბრალად ფინანსური მაქინაციები ედება, თუმცა სასამართლოზე შესაძლოა ამოტივტივდეს მანაფორტის რუსებთან, აგრეთვე უკრაინის ექსპრეზიდენტ იანუკოვიჩთან კონტაქტები.

სპეცპროკურორი მიულერი, რომელიც 2016 წლის არჩევნებში რუსების ჩარევის საქმეს იძიებს, ამტკიცებს, რომ მანაფორტის საქმიანობა შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც შეთქმულება ამერიკის წინააღმდეგ.

უკრაინულმა არმიამ აზოვის ზღვაზე სამხედრო სწავლებები დაიწყო

უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა აზოვის ზღვაზე სამხედრო სწავლებები დაიწყო.

სწავლებაში მონაწილეობენ სამხედრო ხომალდები, კატერები, თვითმფრინავები.

– ყველას, ვინც აზოვის ზღვაზე ავანტიურის წამოწყებას განიზრახავს, საკადრისი პასუხი გაეცემა, – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

ჩრდილოეთ კორეა ახალი რაკეტების წარმოებას განაგრძობს

თანახმად ამერიკის დაზვერვის ინფორმაციისა, ჩრდილოეთ კორეა ახალი რაკეტების წარმოებას განაგრძობს.

– კიმ ჩენ ინი დადებულ შეთანხმებას არღვევს! ჩრდილოეთ კორეა რაკეტების წარმოებას განაგრძობს, – იტყობინება „ვაშინგტონ პოსტი“.

ტერაქტი ტაჯიკეთში

ტაჯიკეთის სოფელ გებისტონში ტერაქტი მოხდა. ადგილობრივმა მცხოვრებმა მანქანით ოთხი უცხოელი ველოსიპედისტი გაიტანა. დაღუპულები აშშ-ს, შვეიცარის, გერმანიის და ჰოლანდიის მოქალაქეები არიან. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სასამართლომ დამნაშავე იმის გამო გაათავისუფლა, რომ დაკავების დროს ტუალეტში არ შეუშვეს

იაპონიის ქალაქ საიტამაში სასამართლომ გაათავისუფლა ბრალდებული და ეს იმის გამო

მოხდა, რომ დაკავების დროს მას ტუალეტში გასვლის უფლება არ მისცეს.

პოლიციამ 45 წლის მამაკაცი სათამაშო ცენტრის ავტოსადგომზე დააკავა. მან რამდენჯერმე ითხოვა ტუალეტში გასვლა, მაგრამ მას უარი უთხრეს. ჩხრეკის დროს მას ნარკოტიკები აღმოუჩინეს და დააპატიმრეს.

საიტამის საოლქო სასამართლომ მამაკაცს ყველა ბრალდება მოუხსნა და მისი დაპატიმრება უკანონოდ ცნო.

– ამ ადამიანისთვის ტუალეტში შესვლაში ხელის შეშლით პოლიციამ ის აიძულა, მათთვის ნარკოტიკები ჩაებარებინა, – განმარტა მოსამართლე იუკი ცუიოსიმ.

ბენედიქტოვმა „ეხო მოსკვის“ გენერალური დირექტორის პოსტი დატოვა



ალექსეი ბენედიქტოვმა „ეხო მოსკვის“ გენერალური დირექტორის პოსტი დატოვა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ხელმძღვანელობამ რადიოსადგურს ბიუჯეტი შეუმცირა და ისიც პროტესტის ნიშნად გადადგა.

ბენედიქტოვის ნაცვლად „ეხო მოსკვის“ გენერალური დირექტორის პოსტი მისმა მოადგილემ ეკატერინე გოდლინამ დაიკავა.

ტაილანდში დაიჭირეს ნიანგი, რომელიც ტურისტებს აშინებდა

ტაილანდში კუნძულ პხუკეტთან დაიჭირეს ნიანგი, რომელიც ათი დღის განმავლობაში ზღვაში დაცურავდა.

სახიფათო რეპტილია ნიანგის დაჭერაზე მომუშავე გუნდმა სურატ-ტანიდან და ადგილობრივმა მეთევზემ დაიჭირეს. ნიანგის გაუვნებელყოფა ლაიანის პლაჟზე ადგილობრივი დროით დილის ოთხ საათზე მოხდა. მანამდე რამდენიმე ჯგუფი ათი დღის მანძილზე დრონების გამოყენებით ცდილობდა რეპტილიის დაჭერას.

ადგილობრივმა პრესამ ნიანგს იანუი დაარქვა – იმ ადგილის პატივსაცემად, სადაც ის პირველად შენიშნეს. ამ დროისთვის რეპტილია ბუნებრივი რესურსების განვითარებისა და კვლევის ცენტრშია გადაყვანილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ნახატს სურათებს, წიგნებს, ძველ ნივთებს, მედლებს, ორდენებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიომცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ლოთარ მათეუსი: „სამხრეთამერიკელები არასდროს უგულშემატკივრებენ ჰოკეის“

ლოთარ მათეუსი ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ და გასაკვირიც არ არის, რომ ამერიკაში მყოფი ფეხბურთის ლეგენდა უხვად არიგებდა ავტოგრაფებს, იღებდა სელფებს და გულმოდგინედ ესაუბრებოდა გულშემატკივარს.

ცხადია, არც ჟურნალისტებთან ურთიერთობას მორიდებია...

– როგორ მოხდა, რომ თქვენ ბაიერნთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებით?

– მიუნხენის ბაიერნთან კონტაქტი არასდროს არ დამიკარგავს. დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, როგორც ფეხბურთელებთან, ისე გუნდის ხელმძღვანელობასთან. გარდა ამისა ერთი წლის განმავლობაში აშშ-ში ფეხბურთელის რანგში ვასპარეზობდი. ასე რომ, ეს ყველაფერი ერთად კარგად აეწყო.

– როგორია თქვენი შთაბეჭდილებები ამ ტურნესთან დაკავშირებით?

– ძალიან დადებითი! როდესაც ქუჩაში გავდივარ, იმწამსვე ამერიკელი გულშემატკივრების მოზღვავებას ვგრძნობ. სასიამოვნოა, როდესაც ქომაგს ამდენი ხნის მერეც ახსოვხარ. აქ უამრავი სამხრეთამერიკელი ცხოვრობს, რომლებიც ფეხბურთს აღმერთებენ. თავად მოგზაურობა კი შესანიშნავად არის ორგანიზებული, რაც ბაიერნისათვის დამახასიათებელიცაა. გუნდი საკუთარი თავის პრეზენტაციას ბრწყინვალედ ეწევა.

– მოგვიყევით თქვენი ვალდებულებების შესახებ.

– მე, ჯოვანი ელბერი, რაიმონდ აუმანი და მარტინ დემიჩელისი, მიუნხენის ბაიერნს, როგორც ამ კლუბის საპატიო ელჩები, ისე წარვადგენთ. ჩვენ ძალიან ხშირად ვხვდებით როგორც გულშემატკივარს, ისე პრესის წარმომადგენლებს. ვწერთ სხვადასხვა ინტერვიუს ტელე-რადიო სივრცეში, ვგეგმავთ ფოტოსესიებს, ვარჯიშს ბავშვებთან ერთად და ა.შ. აქ ადამიანები ბავარიელებს მთელი გულით ქომაგობენ. მთლიანობაში ჩვენ საკმაოდ დიდი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი, თუმცა ყოველივე ეს ბრწყინვალე ატმოსფეროში მიმდინარეობს.

– თქვენ გქონდათ შესაძლებლობა, რამდენიმე საჩვენებელი მატჩი ჩაგეტარებინათ, როგორც ყველამ ნახა ბურთთან ერთად მოძრაობა, კვლავაც შესანიშნავად გამოგდით.

– მადლობა ღმერთს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ მაქვს. მე კვლავინდებურად ჩინებულ ფიზიკურ ფორმაში ვიმყოფები. ეს ველოსიპედით სიარულს ჰგავს. როდესაც შენ დიდი ხნის განმავლობაში არ მჯდარხარ მასზე, თავიდან ცოტა გაგიჭირდება, თუმცა მოძრაობას შეძლებ.

– როგორია ქომაგის დამოკიდებულება ბაიერნის მიმართ?

– ჩვენ უკვე რამდენიმე ფანკლუბში ვიყავით და შემიძლია გითხრათ, შესანიშნავი ატმოსფერო სუფევდა. გულშემატკივრები მთელი მონდომებით ქომაგობენ ბავარიას. შესამჩნევი იყო როგორც უახლესი, ისე ძველი საფეხბურთო ატრიბუტიკა, მაისურების ჩათვლით. ისინი ზუსტად ისეთივე გულშემატკივრები არიან, როგორც ამას გერმანიაში ვხედავთ. ამიტომაც ამ ტურნეში მოგზაურობა ორმაგად სასიხარულოა. ადამიანები ყველა შტატიდან ჩამოდიან იმისათვის, რომ ცოცხალი ფეხბურთელები იხილონ. მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა მათ რაღაც მივცე. მთლიანად გუნდი კი ძალიან დიდ სამუშაოს ატარებს. ფილადელფიაში, იუვენტუსთან მარცხის მიუხედავად, ფეხბურთელებმა საპატიო წრე დაარტყეს მოედანს და ამით ქომაგს მადლობა გადაუხადეს.

– თქვენ ამერიკაში ერთი წლის განმავლობაში ფეხბურთელის რანგში თამაშობდით. მოგვიყევით თქვენი მოგონებების შესახებ.

– მაშინ ყველაფერი სამოყვარულო დონეზე იყო. პირველ რიგში ეს ეხებოდა როგორც ფრენას, ისე წინასასეზონო მომზადებას და სავარჯიშო მოედანსაც კი. თუმცა ამავდროს ეს ძალზე საინტერესო იყო, რაც დამეხმარა ამ ქვეყნის კარგად შეცნობაში. ზღვა შთაბეჭდილებები დამრჩა. სპორტული თვალსაზრისითაც გარკვეული წარმატებები გვქონდა, თუმცა ჩვენი გუნდში ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელები ასპარეზობდნენ. მაშინ, აღმოსავლეთ კონფერენციის გამარჯვებულები გავხდით და ჩემპიონატის ნახევარფინალურ სტადიამდეც კი მივედით. ამას არავინ არ ელოდა. ცხოვრებით ვტკბებოდი როგორც მინდორზე, ისე მის გარეთ.

– რა პროგრესს მიაღწია ფეხბურთმა ამერიკის შეერთებულ შტატებში?

– პროფესიონალური გახდა. აქ უამრავი ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს, სტადიონზე დამსწრე მაყურებლის რიცხვი კი სულ უფრო მატულობს. განსაკუთრებული ყურადღება მთლიანად სპორტს ეთმობა. მრავალრიცხოვანი უცხოელი სპეციალისტი თავდაუზოგავად მუშაობს იმისათვის, რომ სპორტი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს. მაგალითად, სამხრეთამერიკელები არასდროს უგულშემატკივრებენ ჰოკეის, ისინი მუდამ ფეხბურთის გულშემატკივრებად დარჩებიან.

– თქვენ უკვე მიიღეთ გარკვეული შთაბეჭდილებები ბაიერნთან მიმართებაში, როგორია თქვენი პროგნოზი მომავალ საფეხბურთო სეზონში?

– ჩემი პროგნოზი არის ის, რომ ეს გუნდი გააგრძელებს დომინირებას, ითამაშებს სწრაფ და აგრესიულ ფეხბურთს. გუნდში უამრავი სწრაფი ფეხბურთელია თავმოყრილი. იმედს ვიტოვებ ისინი, ზუსტად ისეთივე დაგეშილები იქნებიან გამარჯვებაზე, როგორც ეს წინა წლებში იყო.

შედეგები

30 ივლისი

ფეხბურთი

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ბრესტი-მეცი 0:1

ჩუხეთი. ჩეხმიეჩლიგა

უფა-ლოკომოტივი 0:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

პლზენი-ლიბერეცი 1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

პოგონი-პიასტი 0:2

დანია. სუპერლიგა

ვეილე-ორხუსი 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

ტრელებორგი-ჰამარბი 1:3

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ვაასა-ლახტი 2:2

ტპს-ილვესი 1:3

ნბა-ში საქართველო იუნიორსაც წარადგენს

საქართველო ახალი საკალათბურთო ვარსკვლავის მოლოდინშია – ლუკა ალავიძე ჯუნიორ ნბა-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრება. 13 წლის კალათბურთელი გაზაფხულზე სლოვენიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ კემპზე გამოარჩიეს.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია უკვე მე-3 წელია, ჯუნიორ ნბა-ს განხრით ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციასთან თანამშრომლობს და წელს უკვე მესამედ გაუწია ორგანიზება ლიგას. ალავიძე კი, გასული წლის ლიგის საუკეთესო მოთამაშეა.

ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი, რომელიც ზაზა აკადემიაში ასპარეზობს, ევროპის საუკეთესო 10 მოზარდს შორის მოხვდა და 7-12 აგვისტოს, ფლორიდის შტატის დედაქალაქ ორლანდოში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე ევროპის ნაკრების ღირსებას დაიცავს. მანამდე კი, ლუკა ალავიძე 31 ივლისიდან 4 აგვისტომდე ევროპის გუნდთან ერთად ვალენსიაში სპეციალურ მოსამზადებელ კემპს გაივლის.

ნბა-მ უკვე გამოაცხადა ის 32 გუნდი, რომლებიც წარადგენენ ევროპას ჯუნიორ ნბა-ს პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ამ ტიპის პირველი გლობალური ახალგაზრდული ტურნირია 13-14 წლის ბიჭებისა და გოგონებისათვის მთელი მსოფლიოდან. შეჯიბრი 7-12 აგვისტოს ორლანდოს სპორტულ კომპლექსში გაიმართება.

პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე, 317 გოგონასა და ვაჟს შეუერთდებიან გლობალური ელჩი, ნბა-ს სამგზის ჩემპიონი – დუენ ვეიდი, 2018 წლის ნბა-ს „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მონაწილე ანდრე დრამონდი, „მილოუკი ბაქსის“ ცენტრი – ბრუკ ლოპესი, ნეისმიტის მემორიალური საკალათბურთო დარბაზის წარმომადგენელი გრანტ ჰილი და ქალთა ნბა-ს ლეგენდები: თამიკა ქეჩინგსი, სვინ ქეში და ჯენიფერ აზი.

პირველ ღონისძიებაზე შეიკრიბება ბიჭებისა და გოგონების საუკეთესო 32 გუნდი, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ამ წლის დასაწყისში გამართულ რეგიონალურ შეჯიბრებში. 16 რეგიონალური გუნდი (8 გოგონების, 8 ბიჭების) წარმოადგენს აფრიკას და ახლო აღმოსავლეთს, აზია-პასიფიკს, კანადას, ჩინეთს, ევროპას, ინდოეთს, მექსიკასა და სამხრეთ ამერიკას.

ყველა თამაში ჩატარდება ნბა-ს მსაჯთა განვითარების პროგრამის წარმომადგენლების მიერ. ეს პროგრამა აძლევს ამომავალ პროფესიონალებს და ყოფილ მოთამაშეებს იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია ნბა-ში, ქალთა ნბა-ში და ნბა-ს ჯ ლიგაში მსაჯობისთვის.

ერთკვირიანი ღონისძიების განმავლობაში, 32-ვე გუნდი მიიღებს მონაწილეობას იმ აქტივობებში, რომლებიც გააძლიერებს ჯუნიორ-ნბა-ს მთავარ ღირებულებებს და მისცემს მოთამაშეებს განვითარების შესაძლებლობებსა და დასამახსოვრებელ გამოცდილებას.

კეტი ბერენსი, ნბა-ს პრეზიდენტი, სოციალური პასუხისმგებლობასა და სათამაშო პროგრამებში:

– მსოფლიოს გარშემო რამდენიმეთვიანი რეგიონალური შეჯიბრების შემდეგ, მოხარული ვართ, რომ ერთად შევკრიბოთ ის 32 გუნდი, რომლებიც გამოირჩევიან არა მარტო მოედანზე, არამედ წარადგენენ ჯუნიორ ნბა-ს მთავარ ღირებულებებს – გუნდურ მუშაობას, პატივისცემას, გუნდურ გადაწყვეტილებებს. ველით ძალიან საინტერესო და კარგ კვირას, რომელიც დატვირთული იქნება მოედანზე და მის მიღმა აქტივობებით, რომლებიც ბავშვებს ძალიან მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ გამოცდილებას მისცემს.

დუეინ ვეიდი, ნბა-ს სამგზის ჩემპიონი:

– ჯუნიორ ნბა-ს მსოფლიო ჩემპიონატი იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ შეჯიბრი, ეს არის გლობალური ეტაპი ზოგიერთი ახალგაზრდა მოთამაშისთვის, რომ აჩვენონ თავიანთი ნიჭი, გაერთონ და ისწავლონ ერთმანეთისგან, მოხარული ვარ, რომ უნდა ვუყურო ამ პატარა ვარსკვლავებს, თუ როგორ გაუმკლავდებიან ყველაფერს და მიიღებენ მონაწილეობას ჯუნიორ ნბა-ს პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე.

ლუკა ალავიძე:

– რაც უფრო მოახლოვდა მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების დღე, მით უფრო მეტად ვიაზრებ, სად მივდივარ და რას ნიშნავს ეს ყველაფერი ჩემთვის. ნამდვილად დაუჯერებელია და ძალიან ბედნიერი და ემოციებით სავსე ვარ. ჩემს თანაგუნდელებსაც გამოვემშვიდობე. დიდი მოლოდინი მაქვს, ჯუნიორ ნბა-ს მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობა, სადაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩემი ასაკის უამრავი კალათბურთელი მოიყრის თავს, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ჩემთვის დიდი გამოცდილება იქნება.

მსურს დიდი მადლობა გადავუხადო მამაჩემს, ალექსანდრე ალავიძეს, რომელიც მუდმივად გვერდში მიდგას და ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს საკალათბურთო კარიერაში.

მეფე ანგელოზთა ქალაქში

საკალათბურთო სამყაროში სატრანსფერო სეზონის უმთავრესი მოვლენა ლებრონ ჯეიმსის ლოს ანჯელეს ლეიკერსში გადასვლა იყო.

„მეფემ“ ლეიკერსთან 4 წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ამ დროის განმავლობაში 154 მილიონ დოლარს მიიღებს.

ჯეიმსმა საკუთარი ინსტაგრამის გვერდზე ვიდეო მიმართვა გაავრცელა, სადაც თავისი არჩევანის შესახებ საუბრობს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „მეფე“ საფეხბურთო კლუბ ლივერპულის მაისურში არის გამოწყობილი.

როგორც ცნობილია, 2011 წელს ჯეიმსმა მერსისაიდელების აქციათა 2% 6.5 მილიონ დოლარად შეიძინა. წელს კი მისმა 2-პროცენტიანმა აქციებმა 32 მილიონიანი მოგება მოუტანეს.

ლებრონ ჯეიმსი:

– ლეიკერსში გადასვლა ჩემთვის ოცნების ახდენა არის. ბავშვობაში დალასის ქომაგი ვიყავი, შემდეგ კი – ჩიკაგოს, ასევე ბეისბოლის გუნდ ნიუ იორკ იანკისსაც ვგულშემატკივრობდი. თქვენ უყურებთ ლეიკერსს და გაქვთ შანსი ითამაშოთ ასეთ დიდ გუნდში, ასევე დიდი ისტორიითა და იყოთ მეჯიქ ჯონსონის პარტნიორი. ბავშვობაში მეჯიქის თამაშებს ვუყურებდი. მინდოდა, რომ მის მსგავსად სუპერპასები შემესრულებინა. მის მსგავსად სპექტაკლების დადგმა მსურდა. ახლა კი ყველაფერი ახდა.

ძალიან დიდხანს ვიფიქრე. სიმართლე გითხრათ, რეალური იყო ფილადელფიაში გადასვლის ვარიანტიც, რადგან ბენ სიმონსთან და ჯოელ ემბიიდთან ერთად თამაშის პერსპექტივაც ძალიან მხიბლავდა. ასევე სეროზულად ვფიქრობდი ჰიუსტონ როკეტსში გადასვლაზე, სადაც ჯეიმს ჰარდენი და კრის პოლი დამხვდებოდნენ. თუმცა, სუპერგუნდში გადასვლა ზედმეტად მარტივი ნაბიჯი იქნებოდა. მე მიყვარს გამოწვევები, მომწონს, როცა გუნდს პროგრესში ვეხმარები. მიყვარს, როცა გადავდივარ გუნდში, რომელმაც ტიტული ბოლოს დიდი ხნის წინ მოიგო.

ლეიკერსში ლებრონი ერთადერთი ვარსკვლავი იქნება. იყო საუბრები იმის შესახებაც, რომ ლეიკერსში კავაი ლეონარდიც უნდა გადასულიყო. ასევე ბევრს საუბრობდნენ ლეიკერსში ოკლაჰომას ვარსკვლავის, პოლ ჯორჯის გადასვლაზეც.

– ვფიქრობ, ლეიკერსის გენერალურმა მენეჯერმა რობ პელინკამ და მეჯიქ ჯონსონმა ძალიან მაგრად იმუშავეს. ვგრძნობ, რომ მათ იციან, რა არის საუკეთესო ამ გუნდისთვის. რაც შეეხება პოლ ჯორჯს, მან გააკეთა ის, რაც მისთვის საუკეთესოა. საერთოდ, ყოველთვის ისე უნდა მოიქცე, როგორც საჭიროდ მიიჩნევ და როგორც შენთვის და შენი ოჯახისთვის იქნება კარგი. ისიც სწორედ ასე მოიქცა.

ლეიკერსში ლებრონს რთულ შემადგენლობასთან ერთად მოუწევს თამაში. ლენს სტივენსონი მის მტრად მიიჩნევა. ადვილი ხასიათი არც ჯავეილ მაკგის, მაიკლ ბიზლისა და რაჟონ რონდოს აქვთ, მაგრამ ლებრონისთვის ეს ფაქტი პრობლემას არ წარმოადგენს:

– ეს ბიჭები დღე და ღამე მხოლოდ კალათბურთზე ფიქრობენ. მათ უყვართ კალათბურთის თამაში და სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია, –აცხადებს 33 წლის „მეფე“.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ახალგაზრდა ძიუდოისტთა 5 მედალი

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბერლინში გამართულ ევროპის თასზე ხუთი მედალი მოიპოვა: 2 ოქრო, ამდენივე ბრინჯაო და ერთიც ვერცხლი.

ჩემპიონები ვლადიმერ ახალკაცი (81) და ლაშა ბექაური (90) გახდნენ, მეორეზე ალეკო მამიაშვილი (73) გავიდა, ხოლო მესამეზე – ივანე ხუბაშვილი (55) და გიორგი ნიაზაშვილი (66).

ამასთან, ლაშა გუჯეჯიანის შეგირდებიდან კიდევ სამმა ძიუდოისტმა იჭიდავა ბრინჯაოსთვის, მაგრამ სოსო ებილაშვილი (81), ზაურ კენჭაძე (100) და ამირან წიქორიძე (+100) მეხუთე ადგილებზე დარჩნენ.

დავუბრუნდეთ მედალოსნებს: ახალკაცმა გამართული 6 შეხვედრიდან 5 იპონით მოიგო. ჩვენებურმა ვაზარით მხოლოდ პირველ მეტოქეს, გერმანელ ფრედერიკ შრაიბერს მოუგო. შემდეგ კი, უნგრელი როლანდ გოზი, ფრანგი პაულ ლივოლი, რუსი დმიტრი ხარიტონოვი, ბრაზილიელი გილერმე შმიდტი და კიდევ ერთი უნგრელი რობერტ რაიკაი ბეჭებზე დააგდო.

90 წონით კატეგორიაში გაგვაოცა ბექაურმა, რომელიც მანამდე 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა და წონა უცებ მოიმატა. ბექაურმა ექვსივე შეხვედრა იპონით მოიგო. ლაშამ ოქროსკენ მიმავალი გზა მასპინძელი მარკ ჰერტელის გდებით დაიწყო, რომელსაც ერთმანეთზე მიუყოლა ჰოლანდიელი მარტინ ვან დე ვენი, ყაზახი იერასულ ბოლატი, ბრაზილიელი მათეუს ასისი, აზერბაიჯანელი ელად ალახვერდიევი და სერბი დარკო ბრასნიოვიჩი.

აღსანიშნავია 73 კილოგრამში გამართული ქართული ნახევარფინალიც, რომელშიც მამიაშვილმა ვაზარ-იპონით მოუგო ჩიხელიძეს. თუმცა, მამიაშვილმა შემდეგ ფინალი ყაზახ ჟანბოლატ ბაგტბერგენოვთან წააგო.

ხუბაშვილი მერვედფინალში კი დამარცხდა, თუმცა, რეპეშაჟში 3 გამარჯვება იზეიმა (გადამწყვეტი აზერბაიჯანელ ბალაბაი აგაიევთან) და ბრინჯაო დაისაკუთრა.

ნიაზაშვილმა მერვედფინალში მომავალ ფინალისტ – ბრაზილიელ მაიკლ მარსელინოსთან წააგო, სანუგეშო რაუნდში კი 4 მეტოქეს გაუმკლავდა (ბოლოს, იტალიელ ლუიჯი ბრუდეტის).

ბრიტანელს პლასტიკურ ოპერაციაზე ეკონომია ძვირად დაუჯდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა გოგონამ ტუჩების გადიდება გადაწყვიტა და შედეგად ინფექცია მიიღო.

დერბიშირის საგრაფოს ქალაქ სენდიაკრის მცხოვრებმა ჯესიკა ბენეტმა ტუჩების გადიდების პროცედურა ჩაიტარა. მას შემდეგ, რაც 24 წლის ქალს ერთი მილილიტრი ფილერი შეუყვანეს, მას ტუჩები დაუსივდა.

– იხვივით გამოვიყურებოდი. ტუჩები ძალიან მიხურდა და გამიმაგრდა. ანთების საწინააღმდეგო წამლებს ვიღებდი, მაგრამ ისინი ვერ მშველოდა, – განაცხადა ბენეტმა.

გოგონას შეკითხვებზე ექიმები პასუხობდნენ, რომ პროცედურის შემდგომ დღეებში ტუჩები, შესაძლო იყო, რომ დასიებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ გოგონას ტუჩებიდან ჩირქის დენა დაეწყო და ბენეტმა დახმარებისთვის სხვა ექიმს მიმართა.

ერთი კვირის შემდეგ გოგონამ სოციალურ ქსელებში თავისი დასიებული ტუჩების ფოტოსურათები გამოაქვეყნა. ისინი ექიმმა ნახა და დახმარება შესთავაზა. ბენეტმა მისი შეთავაზება სიხარულით მიიღო. ექიმმა ქვედა ტუჩიდან ფილერი ამოუღო. მას ანტიბიოტიკების კურსის გავლა და ზედა ტუჩიდან საინექციო შემავსებლების მოცილებაც მოუწევს.

რონალდუ ტურინში გულშემატკივრებს აბრაზებს

კრიშტიანუ რონალდუს ტურინული თავგაგადასავალი ხმაურიანად დაიწყო. პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი იტალიაში ამჯერად ოჯახთან ერთად ჩავიდა, ვარჯიშსაც შეუდგა, მაგრამ იუვენტუსის ასობით ქომაგი გაანაწყენა.

საქმე ის არის, რომ აეროპორტ კაზელედან კრიშტიანუ საიდუმლო გასასვლელით გაიყვანეს. არადა, იუვენტუსის გულშემატკივრები საათობით ელოდნენ აეროპორტში. ტიფოზებს მათი ახალი გმირის ნახვა, მისთვის მისალმება სურდათ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან რონალდუ თვითმფრინავიდან პირდაპირ ჯიპის მარკის დაბურულმინებიან ყველგანმავალში ჩასვეს და ფანებთან არ მიუშვეს.

იუვეს ტიფოზები რონალდუს მრავალჯერ შეხვდებიან, მაგრამ მეორე გაბრაზების თემას ისიც არის, რომ კლუბმა აბონემენტები 30 პროცენტით გააძვირა. თუმცა, ბილეთების გაძვირებაზე მარტო ტურინული კლუბის ფანები არ გაღიზიანებულან – ბილეთებს იუვენტუსის მოწინააღმდეგეებიც აძვირებენ. ცხადია, კონკრეტულად იუვესთან თამაშისთვის, რადგან იციან, რომ რონალდუს მიმართ უდიდესი ინტერესი იქნება.

მაგალითად, ბილეთები უკვე გააძვირა კიევომ, რომელიც იტალიის ჩემპიონატის პირველ ტურში იუვეს უმასპინძლებს. პარმა კი იუვესთან საშინაო მატჩის ბილეთებს 187 ევროდ ყიდის, როცა სხვა მატჩებზე ამ ბილეთების ფასი მხოლოდ 25 ევროა.

აქედანვე ჩანს, რომ რონალდუს ტრანსფერით იტალიაში არა მარტო იუვენტუსი, არამედ სხვა კლუბებიც იხეირებენ.

ბებიამ ქმარი პორნოს გამო დაცხრილა

აშშ-ის მკვიდრმა მოხუცმა ქალბატონმა საკუთარი მეუღლე მას შემდეგ მოკლა, როდესაც შეიტყო, რომ მან გააფორმა ხელმოწერა ტელეარხთან, რომელსაც პორნოგრაფიული პროგრამები აქვს. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პოლიციის განყოფილება ავრცელებს.

69 წლის პატრიცია ჰილმა თავად დარეკა პოლიციაში და შეატყობინა, რომ ახლახან საკუთარი ქმარი, 65 წლის ფრენკ ჰილი დაცხრილა. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს მამაკაცის გვამი დახვდათ, რომელსაც ორი ცეცხლნასროლი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

ქალმა განაცხადა, რომ მან მეუღლესთან, რომელიც ფარდულში იჯდა, კამათი დაიწყო. ის უკმაყოფილო იყო იმით, რომ მან განმეორებით გააფორმა ხელშეკრულება ტელეარხებთან პორნო-კონტენტებით, მიუხედავად იმისა, რომ მან თავად გააუქმა ისინი.

ჰილმა ქმარს წასვლა მოსთხოვა, მაგრამ მან უარით უპასუხა. მაშინ ქალი სახლში შევიდა და ფარდულში პისტოლეტით ხელში დაბრუნდა. მან მეუღლეს ორჯერ ესროლა: ფეხში და თავში. ამის შემდეგ ის სახლში დაბრუნდა, იარაღი თავის ადგილზე დაბრუნა და პოლიციაში დარეკა, რათა მომხდარის თაობაზე ეცნობებინა.

ამ მომენტისთვის მოხუცი ქალბატონი პატიმრობაში იმყოფება და საქმის სასამართლო განხილვის დაწყებას ელის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კვირკველია დაცვის ცენტრში ჰიოვედესს ელის

გერმანული მედიის ინფორმაციით, საფეხბურთო კლუბი ლოკომოტივი უახლოეს დღეებში, ბენედიქტ ჰოვედესს გაიფორმებს. გაირკვა, რომ „რკინიგზელები“ შალკესთან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

გეტყვით, რომ 30 წლის გერმანელს მოსკოვში უკვე ჩავიდა, რათა სამედიცინო შემოწმება გაიაროს. კონტრაქტის დეტალებზე და სატრანსფერო ღირებულებაზე ამ დრომდე არც ერთ მხარეს უსაუბრია.

შეგახსენებთ, ლოკომოტივში ქართველი ფეხბურთელი სოლომონ კვირკველია ირიცხება, რომელიც გასულ სეზონში რუსეთის პრემიერ ლიგის მფლობელი გახდა. ადგილობრივმა ქომაგებმა ჩვენებური 2017-18 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ვნახოთ, შედგება თუ არა კვირკველია-ჰიოვედესის ტანდემი...

აღსანიშნავია, რომ ლოკომოტივი პოლონელ კრიხოვიაკსაც აკვირდება, რომელიც პსჟ-ს საკუთრებაა.

მოამზადა მანუელ ყორყოლიანმა

ასტროპროგნოზი

1 აგვისტოსთვის

ვერძი – საკუთარი პრინციპების დაცვა მოგიწევთ. აქტიურობა დღეს რეკომენდებული არ არის. **კურო** – საღი აზრი შეინარჩუნეთ. გაუფრთხილდით ფინანსებს. მოსალოდნელია არასასურველი შეხვედრა. **ტყუპები** – მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. ნუ იქნებით იმპულსური. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი დღეა სამოგზაუროდ წასასვლელად. უამრავ დადებით ემოციას მიიღებთ. **ლომი** – ნებისმიერი საქმე გულმოდგინედ შეასრულეთ. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. **ქალწული** – იმედი გიცრუვდებათ. იოლად ნურავის მიენდობით. დახმარება მეგობრებს სთხოვეთ. **სასწორი** – ილუზიების აყოლა, ეჭვიანობა გუნება-განწყობას გაგიფუჭებთ. იყავით ტაქტიანი. **ღრიანკალი** – წარმატება ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული. სიჯიუტე და ეგოიზმი დაუშვებელია. **მშვილდოსანი** – ემოციები აკონტროლეთ. ახლობლების რჩევებს ენდეთ. საღამოს აქტიურად დაისვენეთ. **თხის რქა** – უხეშობა, სხვის საქმეში ჩარევა კარგს არაფერს მოგიტანთ. თუ შესაძლებლობა გექნებათ, განმარტოვდით. **მერწყული** – ახალი შთაბეჭდილებები სიცოცხლის ხალისს შეგმატებთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **თევზები** – შექმენით ფინანსური რეზერვი. ეცადეთ, უფროსობასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. ნეიტრონის აღმომჩენი ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ძვირფასი ქვა; ლურჯი ფერის იაგუნდი; 3. საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე მომუშავე თანამდებობის პირი; 4. შუამავალი ბირჟაზე; 5. ფინელი ბარონი, მარშალი, ეროვნული გმირი; 10. სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალების მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. ტბა ჯავახეთში; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 16. აცკეტების ლეგენდარული ბელადი; 17. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 19. მოძველებული მოვლენა, ძველი დროის გადმონაშთი; 21. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 23. ჰუნების ბელადი.

თარაზულად: 6. რაიმეს თანდათანობით გაუარესება; 7. უარყოფითი მსჯელობა რაიმეს შესახებ, ნაკლოვანებაზე მითითება; 8. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მკვლელობათა საქმეების გამომძიებელი აშშ-ში; 14. ბიბლიის ათი მცნება; 15. გადაშენებული გიგანტური ქვეწარმავალი; 18. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 20. ინგლისელი ფიზიკოსი; 22. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. დღის ყველაზე ცხელი მონაკვეთის სახელწოდება ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 25. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 26. სახელმწიფო ევროპაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჟაკო; 2. შარმი; 3. ისანი; 4. გირჩი; 5. ალგეთი; 6. რიტორიკა; 8. ტროპოსფერო; 10. მელანქოლია; 11. ნოვარტისი; 14. ფატუმი; 15. ოკრიბა; 16. პუნში.

თარაზულად: 1. ჟენშენი; 4. გრავიურა; 7. კუპრი; 9. გიუმი; 12. ვირუსი; 13. გონიო; 14. ფეიხოა; 17. ოფორტი; 18. კალიმანტანი; 19. პოპლიკა; 20. ნიკორა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაიკალი; 2. დეპარდიე; 7. მზეჭაბუკი; 4. მორთული; 5. ნიშნიანიძე; 10. ბოინგი; 11. სერფინგი; 12. ექოლოტი; 13. დიონისე; 16. საკრებულო; 17. ქობულეთი; 19. ალბანეთი; 21. ვიშნუ; 23. რიალი.

თარაზულად: 6. მარსელიოზა; 7. როლექსი; 8. ჯაფარა; 9. პაპირუსი; 14. პირსინგი; 15. შიომღვიმე; 18. ლეგია; 20. კორსიკა; 22. ვერმუტი; 24. სინხუა; 25. მუკუზანი; 26. სალათი.

სამებაში პატრიარქის ანგელოზის დღისადმი გამოფენა გაიხსნება

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში გამოფენა გაიხსნება, რომელიც მიეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის, ანგელოზის წმინდა ილია წინასწარმეტყველისა და წმინდა ილია მართლის დღეს.

პირველ აგვისტოს თავის ნამუშევრებს თვითნასწავლი მხატვარი მელანო ზედელაშვილი გამოფენს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება 35 ნამუშევარი. გამოფენა კი 3 აგვისტომდე გაგრძელდება.

2 აგვისტოს, წირვის დასრულების შემდეგ, საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილების ორგანიზებით, ამავე ცენტრში გაიხსნება მეორე გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საპატრიარქოსთან არსებული სამრევლო სკოლები, თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა, თბილისის სახელოსნოები და რეგიონებიდან სხვადასხვა ავტორი. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საერო და საეკლესიო დანიშნულების ნივთები, სხვადასხვა შესამოსელი და აქსესუარები, ქართული თექა და ბატიკა, ხელნაკეთი თოჯინები, ხატები, თანამედროვე ოსტატების მიერ შესრულებული ხეზე ჭრისა და ქვაზე კვეთის ნიმუშები, ოქრომკედით ნაქარგობა, ხევსურული ნაქარგობა, ქართული აბრეშუმის ბალიშები და თეთრეული.

ორივე გამოფენაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ნიანგმა ინვალიდი მდინარეში ჩაითრია

მალაიზიის სარავაკის საგუბერნატოროს ქალაქ ლავაკში ნიანგმა ინვალიდი, რომელიც მდინარის სანაპიროს მიუყვებოდა, მოკლა.



რეპტილიის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 45 წლის ეფენდი პანილი და მისი ნათესავი წყლის ასაღებად მივიდნენ მდინარეზე. ნიანგმა მამაკაცს პირი სტაცა და წყალში ჩაითრია.

მამაკაცის ნათესავმა უმცროს ძმას დაურეკა, რათა მას დასახმარებლად ხალხი მოეყვანა. შემთხვევის ადგილზე ადგილობრივების გარდა ასევე მივიდნენ მეხანძრეები, რომლებსაც ამისთვის 25 კილომეტრის გამოვლა დასჭირდათ.

მაშველები ნავებით რამდენიმე საათის განმავლობაში ათვალიერებდნენ მდინარის ფსკერს, თუმცა პანილის სხეულის ნარჩენები მხოლოდ მეორე დღეს იპოვეს. ისინი თავდასხმის ადგილიდან 600 მეტრში აღმოაჩინეს.

თედო რეხვიაშვილს ამერიკის სამხატვრო სასწავლებელში სწავლისთვის საზოგადოების დახმარება სჭირდება

ახალგაზრდა ქართველი მხატვარი თედო რეხვიაშვილი ამერიკის სამხატვრო სასწავლებელში ჩაირიცხა და 10 ყველაზე ნიჭიერთა შორის მოხვდა.



თედოს სასწავლებელმა მისცა მაქსიმალური გრანტი, თუმცა ეს საკმარისი არ არის და მას საზოგადოების დახმარება სჭირდება. თიბისი ბანკში მხატვრის ანგარიშზე სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

თედო რეხვიაშვილი:

– მე თედო ვარ. ხელოვნებითა და ყოველდღიური პროგრესით ვსუნთქავ. ვცხოვრობ დედასთან და და-ძმასთან ერთად. ვამაყობ ჩემი ოჯახით, რომელიც ხშირად ღუკმაპურის მაგივრად საღებავებს ყიდულობდა, რათა ის მეკეთებინა, რაც მიყვარდა. მრავალი სირთულე ღირსეულად გავიარეთ, რომ ხელში ცოდნა და განათლება გვჭეროდა, ბრძოლის უნარი და მომავლის რწმენა გვქონოდა. 16-წლიანი სწავლის პერიოდის შემდეგ მივაღწიე იმას, რომ ჩავაბარე ნიუ იორკის სამხატვრო აკადემიაში, მოვხვდი საუკეთესო აპლიკანტთა ათეულში და ავიღე მაქსიმალური გრანტი, მაგრამ ეს სწავლის საფასურის მხოლოდ ნაწილია. ახლა ყველაზე მეტად მჭირდება თქვენი დახმარება იმისთვის, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში სწავლის შანსი არ დავკარგო და ბოლომდე მივყვე ჩემთვის უძვირფასეს მიზანს... მჭირდება დახმარება იმისთვის, რომ მივიღო ახალი ცოდნა, გამოცდილება, რომელსაც აუცილებლად დავუბრუნებ ჩემს სამშობლოს.

ჩემი მიზანი საქართველოს დატოვება არ არის. ჩემი მიზანი თვითგანვითარება და შემდეგ აქ ღირსეული საქმის კეთებაა. ვინც მიცნობს, ეცოდინება ჩემი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ. ვფიქრობ, ჩემს წილს ყოველდღე ვიბრძვი, რომ საქართველო უკეთესი გახდეს.

მჯერა, რომ იგრძნობთ, რას განვიცდი ახლა... წარმატებები მისურვეთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბრიტანელ ქალს გვერდით პითონი მიუწვა

პატრონისგან გაქცეულმა სამეფო პითონმა ლონდონის მცხოვრები ქალბატონის ბინაში შეაღწია და იქ საწოლში დაიმალა, სანამ მას ეძინა.

გაღვიძებულმა ქალმა აღმოაჩინა, რომ მის გვერდით საწოლში დაახლოებით ერთი მეტრი სიგრძის გველი იწვა. ის იმ წამსვე წამოხტა, საძინებელი ოთახიდან გამოვარდა და კარი ჩაკეტა. შემდეგ კი ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებაში დარეკა.

მალე გამოძახების ადგილზე ცხოველების დაჭერის სპეციალისტი მივიდა, მაგრამ იმ დროისთვის პითონი იქ უკვე აღარ იმყოფებოდა. მაშველმა ქალს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი დაუტოვა და სთხოვა დაერეკა, თუ რეპტილია დაბრუნდებოდა. მეორე დღეს ქალმა გველი დერეფანში დაინახა და ამჯერად გველმა მიმალვა ვეღარ მოახერხა.

ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებაში ვარაუდობენ, რომ პითონი ქალის რომელიმე მეზობელს გაექცა.

– რეპტილიები და განსაკუთრებით გველები გაქცევის შესანიშნავი ოსტატები არიან, – განმარტა ორგანიზაციის წარმომადგენელმა. თუ გალიის კარი ბოლომდე არ არის დაკეტილი, ან თავსახური კარგად არაა დახურული, ისინი ამით დაუყოვნებლივ ისარგებლებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცოტნე გამსახურდია: „კარგია, დედამიწა პარაზიტებისგან თავისუფლდება და მართლაც არაფერი ხდება უჩვეულო“

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი, ცოტნე გამსახურდია, სოციალურ ქსელში წერს:

– მეზარება ახლა მარიხუანის ლეგალიზაციაზე, მის სოციალურ შედეგებსა და ჯანმრთელობის ზიანზე წერა. არ ესმით მაინც და იყვირე, რამდენიც გინდა... მოვიდნენ ნეტავ დროზე ის სპარსნი, თურქნი და არაბნი, ეგება იმათ მაინც უშველონ ამ წალკოტივით ქვეყანას, ამ ბალასტის ადგილი აქ არ არის. ეს დიდი ხანია ჩანს.

ახლა მხოლოდ ის მინდა გავიხსენო, როგორ შემოიტანეს მილიონობით ამპულა მორფი, ჰეროინი და სხვა ნარკოტიკები ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სპეცსამსახურებმა და დაურიგეს მხედრიონს, გვარდიას, „საძმოებს“ და სხვა ათასი ჯურის არამზადებს... მახსენდება, როგორ შემოიტანა ანზორა ბურჯანაძესთან დაკავშირებულმა კომპანიებმა საკონდიტრო დანიშნულების „მაკის თესლები“ ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში. (მა რა გეგონათ, განა მარტო საფურაჟე ფქვილი გაჭამათ?) ოც ლარად კაი ზახოდი ოპიუმი გამოდიოდა... მახსენდება, როგორ შემოიყარა ქალაქში სუბოტექსი აგვისტოს ომის შემდეგ და ფორმალურად საპატრიარქოს შუამდგომლობებით ადეიშვილმა ასობით ბარიგა გამოყარა ციხიდან გარეთ...

ნეტავ დღეს რაში სჭირდებათ ამ ხალხის კიდევ უფრო დასლევება? მაგრამ აქ ხომ მოვლენების ანალიზის და განზოგადების უნარი არა აქვთ, მეც ვამბობ, რა... კარგია, დედამიწა პარაზიტებისგან თავისუფლდება და მართლაც არაფერი ხდება უჩვეულო... – დაწერა ცოტნე გამსახურდიამ.

მედიანიუსი

ხაშურელმა წვეულებებმა სამხედრო კომისარიატში „მღვდელმსახურის ცნობა“ წარადგინეს

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხაშურში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამოძახებული 150 მღვდელმსახურიდან 145-მა „გირჩის“ მიერ გაცემული „მღვდელმსახურის ცნობა“ წარადგინა.

– ჰაერზე არ ხდება არც ამ ცნობის მოპოვება და არც არწაყვანა. უტვინო და ქვეყნის მტერი არავინ არის სამხედრო აღრიცხვის სამსახურებში. კანონში არის ჩანაწერი – სასულიერო პირი არ ექვემდებარება გაწვევას და ამ ხვრელს იყენებენ რელიგიურ ორგანიზაციებად დარეგისტრირებული შარლატანები. წინა წლებში არ იყო ასე მასობრივი ამ ცნობების წარდგენა. გასული წლის მეორე ნახევარში, ასე ვთქვათ, „გაბაზრდა“. ამ მთავრობის მიღებული არ არის ეგ კანონი და ვიცი, რომ მუშაობენ აღმოსაფხვრელად, – წერს ფეისბუკის მომხმრებელი თემო ლომუაშვილი.

მედიანიუსი

„2017 წელს სიმსივნით დაავადების მაჩვენებელი შემცირდა, ხოლო შიდსის შემთხვევები გაიზარდა“

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2017 წელს სიმსივნის დიაგნოზი 8700 ადამიანს დაუდგინეს, რაც 2016 წელთან შედარებით 1400-ით ნაკლებია.

2017 წელს გაიზარდა ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობების გამოვლენის მაჩვენებელი. 2017 წელს ეს მაჩვენებელი 87.900-მდე იყო გაზრდილი, ხოლო 2016 წელს მსგავსი დიაგნოზი 85 ათას ადამიანს დაუსვეს.

ნერვული სისტემის ავადმყოფობები 61.100 მოქალაქეს დაუდგინდა. წინა წელს ეს მაჩვენებელი 69200 იყო. 93 ათასიდან 126 ათასამდეა გაზრდილი თვალის დაავადებების მაჩვენებელი. რაც შეეხება სისხლის მიმოქცევის სისტემის დარღვევებს, 2017 წელს 185 ათასი ასეთი ფაქტი დაფიქსირდა, 2016 წელს ეს მაჩვენებელი 191 ათასს შეადგენდა.

რაც შეეხება აივ ინფექცია შიდსის შემთხვევებს, შარშან აღნიშნული დიაგნოზი 6762 ადამიანს დაუსვეს, რაც 2016 წელთან შედარებით 631-ით მომატებული მაჩვენებელია. აივ ინფექციით შიდსით გასულ წელს 123 ადამიანი გარდაიცვალა, 2016-ში კი გარდაცვალების მაჩვენებელი 128 იყო.

მედიანიუსი

თბილისში უძველესი სახელური მოიპარეს

ტფილისის ჰამქრის ინფორმაციით, თბილისში უძველესი სახელური მოიპარეს, რომელიც მთელ დედაქალაქში მხოლოდ 3 ცალი იყო:

– ასეთი სახელური თბილისში სულ 3 იყო.

დღეს 2 დარჩა.

ეს – მოიპარეს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4474
- ევრო — 2.8591
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.209
- 100 რუსული რუბლი — 3.9028

ამინდის პროგნოზი 1 აგვისტოსთვის

თამარ ივერი: „ცოტა უხერხულია, როცა ქვეყანაში ხალხი შიმშილობს, ეკრანიდან ეს გაუთავებელი საჭმელების კეთება“

ოპერის მომღერალი თამარ ივერი ტელევიზიებს აკრიტიკებს და მოშიმშილე ხალხისა და ხორცს მონატრებული მოსახლეობისთვის ეკრანიდან გაუთავებელ საჭმელების კეთებას უხერხულად მიიჩნევს:

– მგონი, ცოტა უხერხულია, როცა ქვეყანაში ხალხი შიმშილობს, ხალხს ხორცის გემო ენატრება და... ეკრანიდან ეს გაუთავებელი საჭმელების კეთება და განსაკუთრებით მათი დეგუსტირებების დროს აღმოხდენილი „ახ“ და „ოხ“, რა გემრიელია“... თვალებმიბნედილი შეძახილები. სირცხვილია, მინიმუმ... გადაცემა „ჩემი სამზარეულოს წესებს“ არ ვგულისხმობ.

ანრი ჯოხაძე საავადმყოფოში მოხვდა

მომღერალ ანრი ჯოხაძეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. როგორც მისი მეგობრები აცხადებენ, ანრის სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა. ექიმების დროულმა დახმარებამ მომღერალი ინფარქტს გადაარჩინა.

– რა დროს შენი ინფარქტია?! თავს გაუფრთხილდი, გადარეულო! მალე გამოჯანმრთელდი... ყველაფერი კარგად იქნება, – ასე ამხნევებენ მომღერალს სოციალურ ქსელში მეგობრები და სრულიად უცნობი ადამიანები.

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი: „კატასტროფა ვარძიის შესასვლელში“

ისტორიკოსი ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი ავრცელებს ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ვარძიის შესასვლელში კატასტროფა ხდება.

ამჟამად ვარძიის კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს:

– კატასტროფა ვარძიის შესასვლელში, რაღაც ბლოკის ორსართულიანი ხუხულა შენდება.

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა სოციალურ ქსელში გია ჯანაშვილის ფოტოები გაავრცელა, სადაც ვარძიაში მიმდინარე სამუშაოებია აღბეჭდილი:

– არც არქიტექტორი ვარ და არც ხელოვნებათმცოდნე, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, – ასე წააწერა ფოტოებს ავტორმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

თეატრის ხელმძღვანელს ერთ-ერთი მაყურებელი ეკითხება:

– ამ ბოლო დროს თქვენი მსახიობები სასიყვარულო სცენებს ცუდად რატომ თამაშობენ?

– იმიტომ, რომ ყველა დაოჯახდა.

●●●

პატრული მანქანას აჩერებს და ხედავს, რომ საჭესთან ძაღლი ზის, ხოლო უკანა სავარძელზე მამაკაცია მოკალათებული. გაოცებული პოლიციელი მამაკაცს ეუბნება:

– შენ რა, სულ გაგიჟდი? ძაღლი საჭესთან როგორ დასვი?

– მე რა შუაში ვარ? ხელი დავუქნიე, მან კი გამიჩერა...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ნარგიზა როგორი გოგოა?

– ერთი მხრივ კარგია, აი, ძალიან კარგი მხრიდან კი ჯერ არ მინახავს...

●●●

კაცი და ქალი საწოლში. კაცი ქალს ეუბნება:

– მოდი, დღეს პრეზერვატივის გარეშე გავაკეთოთ.

– რატომ?

– ცხელა.

●●●

დისპეტჩერი ტაქსის მძღოლს რაციით უკავშირდება და ეკითხება:

– ოცდამესამე, შეგიძლიათ მგზავრი აიყვანოთ. აეროპორტში ეჩქარება?

– შემიძლია, სამი თავისუფალი ადგილი მაქვს.

– მისი რეისი 17:00 საათზეა და ეშინია, რომ არ დააგვიანდეს. კითხულობს მოასწრებთ?

– რა თქმა უნდა, მოვასწრებ, მაგის გარანტიას ვაძლევ.

– ოცდამესამე. როგორ აძლევთ გარანტიას, ასეთ საცობებში!

– მისი თვითმფრინავის პილოტი მანქანაში მიზის.

●●●

ქალი სექს-შოპში დიდხანს ათვალიერებს ვიტრინას, შემდეგ კი გამყიდველს ეკითხება:

– მაპატიეთ, და გასასინჯი ოთახი სად გაქვთ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

სინდისის ქენჯნამ ქურდს ნაქურდალი დააბრუნებინა

ანერიკის არკანზასის შტატის ქალაქ კლინტონში ქურდმა მოპარული ნივთები უკან დააბრუნა და წერილი დატოვა, რომელშიც ჩადენილის გამო ბოდიშს იხდიდა.

სიუზენ მაკნაბს საფულე მაღაზიის მახლობლად დარჩა, ხოლო როდესაც უკან დაბრუნდა, იქიდან 160 დოლარი იყო დაკარგული.

– ამის შემდეგ პოლიციაში წავედი და განცხადება დავწერე, – განაცხადა სიუზენმა.

მალე მას პოლიციიდან დაურეკეს. როგორც გაირკვა, უცნობმა ქალმა პოლიციის განყოფილებაში კონვერტი მიიტანა და წავიდა ისე, რომ ვინაობა არ გაუმხელია. კონვერტში იდო 160 დოლარი და წერილი, რომელიც ფულის პატრონისთვის იყო განკუთვნილი.

– თუ შეგიძლიათ მაპატიეთ, – ეწერა მასში, – ყოველთვის ვცდილობდი პატიოსნად მეცხოვრა და დღეს საშინელი შეცდომა დავუშვი.

მაკნაბის თქმით, ქურდის საქციელმა ის აღაფრთოვანა და მთელი დაბრუნებული თანხა სხვების დახმარებას მოახმარა.

შეშინებულმა კენგურუმ სახლი დაარბია

შეშინებული კენგურუ მელბურნის გარეუბანში სახლში შეიჭრა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

კვირა დილას ავსტრალიელების ოჯახი გააღვიძა ცხოველმა, რომელიც ბინაში ფანჯრიდან შევარდა. მათ პანიკაში ჩავარდნილი კენგურუს სააბაზანო ოთახში მიმწყვდევა მოახერხეს.

როგორც შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა სამაშველო სამსახურის თანამშრომელმა მანფრედ ზაბინსკასმა განაცხადა, ინციდენტის შედეგად ადამიანები არ დაშავებულან, თავად კენგურუს კი თათები გაეჭრა და ბევრი სისხლი დაკარგა, რამაც მცხოვრებლები შეაშფოთა. გარეული ცხოველი პანიკაში იმყოფებოდა, ამიტომ მათ დამამშვიდებელი წამლების გამოყენება მოუხდათ და ამის შემდეგ მოახერხეს მისთვის დახმარების აღმოჩენა.

სავარაუდოდ კენგურუ ბინაში იმის გამო შეიჭრა, რომ ის ან ძაღლმა, ან გამვლელმა მანქანებმა შეაშინა. იქ მან კიდევ ერთი მინა ჩაამტვრია, როდესაც გარეთ გამოღწევას ცდილობდა. ამჟამად ის გარეული ცხოველების დახმარების ცენტრში იმყოფება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. ვაზის, ღვინის პატივსაცემად გამართული რიტუალი ძველად საქართველოში; 4. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 5. ფიგურული სახაზავი; 6. ევროპის ჩემპიონი, ქართველი ნიჩბოსანი მამაკაცი; 8. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 10. საგვარეულო ნუსხა; 11. უბანი ქუთაისში; 14. ზნეობა ანუ...; 15. ნაკვერჩხლიანი ნაცარი; 16. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

თარაზულად: 1. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 9. ხშირი წიწვოვანი ტყის მასივი ევროპის, აზიის და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში; 12. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. ატმოსფერული ნალექი; 14. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 17. სამეგრელოში გლეხთა აჯანყების მეთაური; 18. განდიდების მანია; 19. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული, თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 20. თაღლითი ბანქოს თამაშში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა